

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნათია ცაბაძე

ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორიზაცია და მათი ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებები
ინგლისურენოვან და ქართულ
საგაზეთო ტექსტში

სამაგისტრო ნაშრომი ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ანგლისტიკის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია დავითიშვილი
ფილოლოგიის აკად. დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

გორი 2021

Natia Tsadze

Metaphorization of Natural Catastrophes and Their Functional-Semantic Peculiarities in English and Georgian Newspaper Text

Summary

The paper investigates cognitive and socio-pragmatic functions of metaphors designating natural catastrophes in English and Georgian newspaper texts. The research aims to reveal metaphorical perception of the water-connected catastrophes and their conceptual types in both languages. The analysis of the empirical material showed that in English newspaper discourse natural catastrophes are metaphorically constructed mainly according to four conceptual models in which they are identified and described via animals, monster, war and punishment whereas in Georgian newspaper texts they are represented only by the themes of infuriated animals and war. The above-mentioned metaphorical themes serve as conceptual basis for numerous metaphorical phrases and set expressions that function as an effective ideological weapon to manipulate public consciousness. The research showed that while describing natural catastrophes associative-metaphorical accent mainly falls upon the verbs, adjectives and nouns. Articles often use hyperbolic adjectives in order to expose the immensity and destructive effects of natural catastrophes both on the environmental conditions and on the people.

The employment of metaphor themes that of animals, monsters, war and punishing power simplify the existing reality, bipolarize the world, conceal political-economic and social problems existing in the society, dramatize events by using stories told by eye-witnesses in order to appeal to readers emotions and so on. By employing this and many other methods, journalists create an atmosphere of symbolically united society and provoke the feelings of sympathy and emotions of the readers.

The paper is based on the analysis of the newspaper articles and news reports covering the 2004 Indian ocean tsunami, 2005 Hurricane Katrina in the USA as well as 2015 and 1960 floodings in Tbilisi.

შინაარსი

შესავალი5

თავი I

კვლევის თეორიული წინამძღვრები: მეტაფორიზაცია და კოგნიტური მეტაფორის ცნება თანამედროვე ლინგვისტიკაში

- § 1. მეტაფორის ცნება და მისი სტრუქტურა თანამედროვე ლინგვისტიკაში 7
- § 2. მეტაფორიზაცია და მისი ექსპლიკაციის გზები:
მეტაფორა vs ხატოვანი შედარება 9
- § 3. კოგნიტური მეტაფორის ცნება თანამედროვე ლინგვისტიკაში 12

თავი II

ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორიზაცია ინგლისურენოვან და ქართულ საგაზეთო დისკურსში

- § 1. ბუნებრივი კატასტროფების, როგორც ცხოველის მეტაფორული ნომინაცია ინგლისურენოვან საგაზეთო დისკურსში 17
- § 2. ბუნებრივი კატასტროფების, როგორც მონსტრის მეტაფორული ნომინაცია ინგლისურენოვან საგაზეთო დისკურსში 21

§ 3.	ბუნებრივი კატასტროფების, როგორც ომის მეტაფორული ნომინაცია ინგლისურენოვან საგაზეთო დისკურსში	25
§ 4.	ბუნებრივი კატასტროფები, როგორც დამსჯელი ძალა ინგლისურენოვან საგაზეთო დისკურსში	27
§ 5.	ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორული ნომინაცია ქართულ საგაზეთო დისკურსში	28

თავი III

ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორული ნომინაციის ფუნქციური დანიშნულება ინგლისურენოვან და ქართულ საგაზეთო დისკურსში

§ 1.	კომუნიკაციური კომპეტენციისა და სტრატეგიის ცნებები თანამედროვე ლინგვისტიკაში	35
§ 2.	ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორული ნომინაცია, როგორც ეფექტური იდეოლოგიური იარაღი და მისი პრაგმატიკული დანიშნულება	
	ა) პოლიტიკურ–ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დამალვა–შენიღბვა	
	ბ) მოვლენების დრამატიზირება მკითხველთა ემოციებზე ზემოქმედების მიზნით	
	გ) მთავრობისა და პოლიტიკური ოპონენტების ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენა	
	დ) საერთაშორისო სოლიდარობის და ერთობის	

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორიზაციის კოგნიტურ–ნომინაციური და ფუნქციური ასპექტების შეპირისპირებით კვლევას ინგლისურენოვან და ქართულ საგაზეთო დისკურსში.

საკვლევი თემის აქტუალურობას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ 21–ე საუკუნის დადგომას თან ახლავს გახშირებული დამანგრეველი სტიქიური მოვლენები, რომლებიც ღრმა ემოციურ და სოციალურ–ეკონომიკურ კვალს სტოვებენ საზოგადოებაზე. ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. თბილისი კიდევ დიდხანს ვერ მოიშუშებს 1915 წლის 13 ივნისის ღვარცოფით გამოწვეულ ტრაგედიას. უაღრესად საინტერესოა, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები ბუნებრივ კატასტროფებს, რა ვერბალურ გამოხატულებას ჰპოვებენ ისინი მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ საგაზეთო დისკურსში; ინფორმაციულის გარდა, რა დამატებითი ფუნქციური დატვირთვა აქვს მათ გამოყენებას საგაზეთო დისკურსში და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი მიზნად ისახავს ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორული გამოხატულების კომპლექსურ კვლევას ინგლისურენოვან და ქართულ საგაზეთო ტექსტში, რაც გულისხმობს არა მარტო მათი ექსპრესიულ–ემოციური ნომინაციური ასპექტის შესწავლას და განზოგადებას, არამედ მათი ფუნქციური დანიშნულების გამოვლენას პრაგმატიკულ ჭრილში. ლინგვისტურ ლიტერატურაში, რომელზედაც ხელი მიგვიწვდებოდა, თითქმის არ მოიპოვება მასალა ბუნებრივ კატასტროფათა ამგვარი რაკურსით კვლევაზე საგაზეთო ტექსტში, რომ არაფერი ვთქვათ ქართულ სინამდვილეზე. შესაბამისად, ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ამ ორ ენაზე

ბუნებრივი კატაკლიზმების მეტაფორულად ამსახველი მასალების შეპირისპირებით ანალიზი ინტეგრალური პრინციპით მათი საერთო და განსხვავებული ფუნქციურ-სემანტიკური და სოციოლინგვისტური თავისებურებების გამოვლენის მიზნით.

საკვლევ ემპირიულ მასალას წარმოადგენს ინტერნეტით მოპოვებული მასალები ინგლისურენოვანი (*The Guardian, The New York Times, The Globe and Mail*) და ქართული on-line გაზეთებიდან, რომლებშიც გაშუქებულია ინდოეთის ოკეანის 2004 წლის ცუნამის და ამერიკის შეერთებული შტატების 2005 წლის ქარიშხალ კატრინას მოვლენები, რომელიც დღემდე ყველაზე დამანგრეველ ბუნებრივ სტიქიად ითვლება ამ ქვეყანაში. ქართული სინამდვილიდან კი გაანალიზებული გვაქვს 2015 წლის 13 ივნისის და 1960 წლის მდინარე ვერეს ადიდების ამსახველი მასალები, რომლებშიც ემოციურ-ექსპრესიულად არის გადმოცემული ამ დრამატული მოვლენის მეტაფორული აღქმა.

ნაშრომის სტრუქტურა განპირობებულია კვლევის მიზნებით და კონკრეტული ამოცანებით. იგი შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნითი ნაწილისგან; თან ერთვის გამოყენებული ლინგვისტური ლიტერატურის და ელექტრონული წყაროების სია.

შესავალში დასაბუთებულია ჩვენ მიერ არჩეული თემის აქტუალურობა, განსაზღვრულია როგორც კვლევის მიზნები და ამოცანები, ასევე მათი განხორციელები მეთოდები, ხაზგასმულია მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პირველ თავში განხილულია კვლევასთან დაკავშირებული ისეთი თეორიული საკითხები, როგორცაა მეტაფორის ცნება და მისი სტრუქტურული თავისებურებები, მეტაფორიზაცია, როგორც კოგნიტური აზროვნების ფორმა, და მისი ენობრივი გამოხატულების ვარიანტულობა სხვადასხვა ტროპებში. ამ თავის დასასრულს კი ყურადღების კონცენტრირებას ვახდენთ კოგნიტური მეტაფორის ცნებაზე.

მეორე თავი ეძღვნება წყალთან დაკავშირებულ ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორული ნომინაციის შეპირისპირებით კვლევას ინგლისურენოვან და ქართულ საგაზეთო ტექსტში. ინტერნეტულ მასალებზე დაყრდნობით ვიკვლევთ ამ მეტაფორების ლოგიკურ-სემანტიკურ ასპექტს ორივე ენაში, რის საფუძველზეც ვახდენთ მათ ტიპოლოგიას კოგნიტური მოდელირების მიხედვით. შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად წარმოვაჩინთ მათ სერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებს.

მესამე თავი მთლიანად აქვს დათმობილი ხსენებულ კატასტროფათა მეტაფორიზაციის ფუნქციური დანიშნულების სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული ასპექტების კვლევას. ყურადღებას ვამახვილებთ ამ ენობრივი ფენომენის, როგორც ეფექტური იდეოლოგიური იარაღის გამოყენებასა და მისი პრაგმატიკული მიზნების გამოვლენაზე.

დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შედეგად მიღებული თეორიული განზოგადებები.

თავი I

კვლევის თეორიული წანამძღვრები: მეტაფორიზაცია და კოგნიტური მეტაფორის ცნება თანამედროვე ლინგვისტიკაში

§ 1. მეტაფორის ცნება და მისი სტრუქტურა თანამედროვე ლინგვისტიკაში

მეტაფორა ბერძნული სიტყვაა და იგი ნიშნავს მნიშვნელობის გადატანას ერთი სიტყვიდან მეორეზე. თითქმის ყველა სიტყვას აქვს მნიშვნელობა, თუმცა, არცთუ იშვიათად სიტყვებს ვიყენებთ არა მათი პირველადი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით და ეს ხდება როგორც ყოველდღიურ მეტყველებაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში.

მეტაფორა აზროვნების ფორმის გამოხატულებაა, რომელიც სამყაროს ხატოვან, ასოციაციურ კავშირებზე დამყარებულ სუბიექტურ აღქმას ეფუძნება, რის შედეგადაც იქმნება მსჯელობის საგნის ავტორისეული ესთეტურ-შეფასებითი კოგნიციით გამდიდრებული სახე. სუბიექტის ხატოვან ასოციაციურ არის საგანთა ან მოვლენათა აღმნიშვნელი რომელიღაც კლასის ნიშან-თვისებათა გადატანა სხვა კლასის საგნებსა და მოვლენებზე.

ტერმინი „მეტაფორა“ გამოიყენება ორი – ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო გაგებით, მეტაფორა არის სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა. რაც უფრო მეტად უღრმავდებიან მკვლევარები მეტაფორის ფენომენის არსს, მით მეტი პრობლემა იჩენს თავს. ამით არის განპირობებული ის, რომ მეტაფორას სხვადასხვა რაკურსით შეისწავლიან მეცნიერების სხვადასხვა დარგები. პოეტიკა (სტილისტიკა, რიტორიკა) მეტაფორას შეისწავლის როგორც ტროპის

სახეობას, **ლექსიკოლოგია** – როგორც სიტყვების ახალი მნიშვნელობების წყაროს, **პრაგმატიკა** – როგორც სუბიექტურობის გამომხატველ სამეტყველო ფორმას, **ფსიქოლოგია** და **ფსიქოლინგვისტიკა** – როგორც ასოციაციურ მექანიზმზე დაფუძნებულ მეტყველების ფორმას და აღქმის ობიექტს, **ლოგიკა**, **ფილოსოფია (გნოსეოლოგია)** და **კოგნიტური ლინგვისტიკა** – როგორც აზროვნებისა და სინამდვილის შემეცნების გამომხატულების საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტაფორის ზოგადი თეორიის შექმნა გულისხმობს კვლევის ყველა მიმართულების შედეგების გათვალისწინებას.

ლინგვისტურ ლიტერატურაში მეტაფორას ტრადიციულად სამკომპონენტო ლინგვოსემიოტიკურ სტრუქტურად განიხილავენ, რადგანაც მის შექმნაში სამი ელემენტი მონაწილეობს: აღმნიშვნელი, აღსანიშნი და მათ შორის კავშირი (ნათაძე მ., ნათაძე გ., 1988). ჩვეულებრივ ნიშანში აღმნიშვნელი ერთ აღსანიშნს უკავშირდება, ტროპში კი – ორს. ამ დებულების ვერიფიკაციას ნათაძეები ახდენენ ფრაზით, რომლითაც შექსპირის „ჰამლეტში“ ლაერტი მიმართავს დაღუპულ ოფელიას – O, Rose of May! (მაისის ვარდო!) სიტყვა „ვარდი“ ჩვენს აღქმაში გარკვეულ ყვავილს უკავშირდება, ტროპში კი ერთდროულად ორს: ყვავილს და ოფელიას. შესაბამისად, *ყვავილი* ტროპის პირველი, პირდაპირი მნიშვნელობაა, ხოლო *ოფელია* ტროპის მეორე, გადატანითი მნიშვნელობა. პირველ, ანუ პირდაპირ მნიშვნელობას აღმნიშვნელი უკავშირდება უშუალოდ, მეორეს ანუ გადატანით მნიშვნელობას კი – პირველის გავლით. როგორია ამ დაკავშირების მექანიზმი? ამ ორი მნიშვნელობის ერთ სემანტიკურ ერთეულად შეკვრა ხდება შეპირისპირებულ ობიექტთა საერთო მახასიათებლების საფუძველზე. ავტორი ოფელიას მეტაფორულ სახეს ქმნის მისი ვარდთან გაიგივებით მშვენიერების საფუძველზე, რომელიც მათ საერთო ნიშან-თვისებას წარმოადგენს. მაგრამ *ვარდის* პირველი მნიშვნელობა მარტო ამ ნიშნით არ ამოიწურება, რადგანაც იგი უკავშირდება ნიშანთა მთელ კომპლექსს (ყვავილი, სურნელოვანი, ბაღი, ბულბული, გაზაფხული...), რომ-ლებსაც ნათაძეები „თავისუფალ ნიშნებად“ განიხილავენ. როგორც ეს მკვლევარები აღნიშნავენ, ისინი აგრეთვე შემოდიან ჩვენს აღქმაში არაცნობიერად და ამდიდრებენ ოფელიას სახეს: „შედეგად იქმნება მეტაფორა, რომლის

მხატვრული ზემოქმედების მექანიზმი, ჩვენი დაკვირვებით, პირველი მნიშვნელობის (ვარდი) სწორედ „თავისუფალი ნიშნების“ და მათთან დაკავშირებული ასოციაციების არსებობით განისაზღვრება” (მ. ნათაძე, გ. ნათაძე 1988: 207-208).

არსებობს განსხვავებული აზრი მეტაფორის სტრუქტურის შესახებ. მაგალითად, რუსუდან ცანავას აზრით (ცანავა 2009: 9), მეტაფორის წარმოშობასა და ფორმირებაში მონაწილეობს ოთხი კომპონენტი: მეტაფორის მთავარი და დამხმარე სუბიექტები, რომლებსაც ლინგვისტურ ლიტერატურაში მოიხსენიებენ სხვადასხვა ტერმინებით: *ბუკვალური ჩარჩო* და *მეტაფორული ფოკუსი*; *თემა* და *კონტეინერი*; *რეფერენტი* და *კორელატი*, და თითოეული სუბიექტის ან ობიექტის კლასის ურთიერთშეფარდებითი თვისებები (ამ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, ასევე იხ.: Арутюнова 1990: 10). რუსუდან ცანავა საილუსტრაციოდ განიხილავს მეტაფორულ ფრაზას – „ლომი ტარიელი“, სადაც სახელი „ლომი“, ინარჩუნებს მიმართებას ლომების კლასთან, მაგრამ ახასიათებს ინდივიდს – ტარიელს, რომელიც შედის სხვა ბუნებრივ (ონტოლოგიურ), კონკრეტულად კი ადამიანთა კლასში. ტარიელის მსგავსება ლომთან მოიცავს ნიშანთა მთელ კომპლექსს (თავის სახეობაში გამორჩეულობა, პირველობა, სიძლიერე და ა.შ.), რომლებიც ქმნიან ინდივიდის სახეს (ცანავა 2009: 10).

§ 2. მეტაფორიზაცია და მისი ექსპლიკაციის გზები:

მეტაფორა vs ხატოვანი შედარება

ლინგვისტურ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ მეტაფორა წარმოადგენს რედუცირებულ შედარებას. ეს გულისხმობს იმას, რომ ეს ორი სტილისტური ტროპი ერთ სიღრმისეულ ანუ სემანტიკურ სტრუქტურაზეა დაფუძნებული და ერთმანეთისგან მხოლოდ ექსპლიციტურობის მიხედვით განსხვავდება. ეს თეზისი საწყისს იღებს არისტოტელეს ფილოსოფიური კონცეფციიდან. მეცნიერთა ერთი ნაწი-

ლი იზიარებს ამ აზრს და მიიჩნევს, რომ მეტაფორა ხატოვანი შედარების სტრუქტურებიდან წარმოიქმნება შედარების მარკერები “like” და “as” იმპლიციების გზით, რასაც თან სდევს კომპარატიული პრედიკაციის შეცვლა იდენტიფიკაციის ანუ ტაქსონომიური პრედიკაციით, რომელიც ასევე ჰეტეროგენულ კონტრასტულობას ემყარება.

ამის საპირისპიროდ, მკვლევართა მეორე ჯგუფი თვლის, რომ გაუმართლებელია ამ ორი სტილისტური ხერხის გაიგივება, რადგანაც ისინი ერთმანეთისგან სწორედ სიღრმისეული სტრუქტურით განსხვავდებიან. წინააღმდეგობებით არის სავსე ე. ორტონის შეხედულებები მეტაფორასა და ხატოვან შედარებაზე. იგი, ერთი მხრივ, გაუმართლებელად მიიჩნევს მათ ერთმანეთთან გაიგივებას, მეორე მხრივ კი, აცხადებს, რომ ორივე ეს სტილისტური ტროპი შედარებაზეა დაფუძნებული. ავტორის აზრით, მათ შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ “მეტაფორა წარმოადგენს ენის გამოყენების ტიპს, მაშინ როდესაც შედარება – უკვე ფსიქოლოგიური პროცესის ტიპია” (Ортони 1990: 222). მკვლევარი მიუთითებს, რომ მეტაფორაში რეალიზებულია სამყაროს ნორმატული (რაციონალური) ხატის იმპლიციტური შეპირისპირება ამავე სამყაროს სუბიექტურ-პოეტურ ხედვასთან. მეტაფორა გამორიცხავს საგნის რაციონალურ, ტაქსონომიურ კლასიფიკაციას. აქედან გამომდინარე მას საფუძვლად მასში მოცემული ობიექტების გამიზნული შეუსაბამობა უდევს, რის გამოც ამ სტილისტური ტროპის ძირითად სემანტიკურ პარამეტრს ურთიერთგამომრიცხავი კატეგორიალური ტრანსპოზიცია წარმოადგენს (Ортони 1990, 224).

საინტერესო პარალელებს ავლენს მეტაფორასა და ხატოვან შედარებას შორის ნ. არუთინოვა, რომლის აზრითაც, ერთმანეთს უპირისპირდება ობიექტური, ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებული რეალობა და თვით ადამიანი, რომელიც არღვევს კლასების იერარქიას და არა მხოლოდ ამჩნევს, არამედ თავად ქმნის საგანთა შორის მსგავსებას (Арутюнова 1990, 22-29). მკვლევარი აღნიშნავს, რომ კატეგორიალური ტრანსპოზიცია თავად მოიცავს კონტრასტის ცნებას. რაც უფრო მაღალია ხატოვან შედარებაში რეალიზებული მეტაფორული კონტრასტი, მით უფრო მაღალია ამ შედარების ექსპრესიულობა. ხატოვანი შედარების კონტრასტულობა განპირობებულია ავტორის ინდივიდუალური გამოცდილებითა და სუბიექტური, პოეტური აზროვნების თავისებურებებით. შედარება

ერთი ობიექტის მეორესთან მსგავსებაზე მიუთითებს მიუხედავად იმისა, ეს მსგავსება კონსტატას წარმოადგენს თუ ცვლადს, ჭეშმარიტია თუ მოჩვენებითი, ერთი ასპექტის მომცველია თუ გლობალურის. მეტაფორა კი შეიცავს საგნის არსის ამხსნელ მდგრად მსგავსებას, რომელიც, საბოლოო ჯამში, ამ საგნის მუდმივ თვისებას წარმოადგენს. შესაბამისად, მეტაფორული გამონათქვამი არ საჭიროებს ტემპორალური და ლოკაციური გარემოებით დაკონკრეტებას. მაშინ როდესაც ხატოვანი შედარებისთვის ამგვარი დაკონკრეტება აუცილებლობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ხატოვან შედარებაში თვისება, რომელიც შედარების მოტივაციად გვევლინება, ყოველთვის გამჭვირვალეა და ექსპლიცირებული, მეტაფორა კი გამორიცხავს მის შემადგენლობაში ასეთი მოტივაციის არსებობას. ხატოვან შედარებაში ორ ჰეტეროგენულ ობიექტს შორის არსებული საერთო თვისება იმანენტურ მახასიათებელს არ წარმოადგენს, მაშინ როდესაც მეტაფორაში ეს თვისება უკვე ობიექტურ მახასიათებლად გვევლინება, რის გამოც იგი ექსპლიკაციას არ საჭიროებს. ამ აზრს ნ.არუთინოვა შემდეგი პოსტულატით წარმოგვიდგენს: “შედარება შეიძლება ილუზიური იყოს. ეს ისაა, რაც მოგვეჩვენა, მეტაფორა კი ისაა, რაც ნამდვილად არსებობს. კამათი მსგავსებაზე იგივეა, რაც კამათი შთაბეჭდილებებზე. ხოლო კამათი მეტაფორის არჩევაზე ეს არის კამათი საგნის ნამდვილ არსზე. შესაბამისად, მსგავსება შეიძლება არსებობდეს ერთდროულად რამდენიმე ობიექტს შორის, მაშინ როდესაც მეტაფორას კონუნქცია არ ახასიათებს(Арутюнова 1990: 27).

სრულიად განსხვავებული და ორიგინალურია ამ პრობლემისადმი ქართველი მკვლე-ვარების მათა და გიორგი ნათაძეების მიდგომა, რომელსაც ისინი გვთავაზობენ სტატიაში “რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების სვლა” (1988). ისინი მეტაფორული აზრის გამომხატველ ყველა ვერბალურ კონსტრუქტს მეტაფორად განიხილავენ, რაც თავისთავად ხსნის საკითხს მათი დიფერენცირების შესახებ სხვადასხვა ტროპებად.

საინტერესოა ნ. კირვალის და შ. კობახიძის მიერ შემუშავებული მიდგომა ამ პრობლემისადმი. ამ ავტორთა აზრით, მიუხედავად მათ შორის არსებული მსგავსებისა, მეტაფორა მაინც განსხვავდება ხატოვანი შედარებისაგან, რადგან მეტაფორაში რეალიზებულია ჰეტეროგენულ საგანთა ან მოვლენათა მხოლოდ გაიგივების პროცესი, მაშინ

როდესაც ხატოვანი შედარება ერთდროულად ორ განსხვავებულ პროცესს მოიცავს – იგი თან ადარებს, თან ერთმანეთისგან განასხვავებს და განაცალკავებს ორ ჰეტეროგენულ საგანს. ხატოვან შედარებაში ექსპლიცირებულია შეპირისპირებულ ობიექტთა შორის არსებული ის სხვაობა, რომელიც განაპირობებს მათი როგორც გაიგივების, ასევე განცალკევების პროცესს; მეტაფორაში კი მოცემულ ობიექტთა სხვაობა მხოლოდ ნაგული-სხმევია და იმპლიცირებული. ხატოვან შედარებაში შეპირისპირებული საგნები ბოლომდე ინარჩუნებენ თვითმყოფადობას: აქ მსაზღვრელი საგანი მხოლოდ წააგავს, მოგვაგონებს მსჯელობის საგანს და არავითარ შემთხვევაში არ არის მასთან გაიგივებული, რის გამოც ისინი ბოლომდე დამოუკიდებელ საგნებად რჩებიან. მეტაფორის მნიშვნელობა კი სინთეზური და დიფუზიურია, რაც გულისხმობს მასში მოცემულ საგნებს შორის იგივეობის ლოგიკური ურთიერთობის დამყარებას(კირვალიძე, კობახიძე 2006: 17).

§ 3. კოგნიტური მეტაფორების ცნება თანამედროვე ლინგვისტიკაში

მეტაფორა საუკუნეების მანძილზე, ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან, იზიდავს მკვლევართა ყურადღებას, ამიტომ უამრავი თეორია არსებობს მეტაფორის რაობისა და მისი წარმოქმნის შესახებ. რამდენადაც მეტაფორა გვხვდება მეცნიერების სხვადასხვა დარგში, იმდენად მრავალნაირად არის შესაძლებელი მისი ინტერპრეტაცია.

მეტაფორა არის აზროვნების სპეციფიური ფორმის გამოხატულება, რომელიც გვხვდება ყველგან - ენაში, ხელოვნებაში (ფერწერაში, ქანდაკებაში), სადაც კი არსებობს ნიშანთა სისტემა, იქნება ეს პირველადი თუ მეორადი. ტერმინი „მეტაფორა“ ბერძნული წარმოშობისაა (ბერძ. *metaphora* – “გადატანა”) და იგი გულისხმობს მნიშვნელობის გადატანას ერთი სიტყვიდან მეორეზე. შესაბამისად, მეტაფორა შეიძლება განვიხილოთ როგორც სემიოტიკური კონსტრუქტი, რომელშიც რეალიზებას ჰპოვებს მსჯელობის საგნის სუბიექტურ-პოეტური დეტერმინაცია ან იდენტიფიკაცია მისი შეპირისპირება-გაიგივებით მეტყველი სუბიექტის ცნობიერებაში ხატის სახით არ-

სებული სამყაროს ამა თუ იმ ობიექტთან (საგნობრივთან თუ არასაგნობრივთან) მათი საერთო იმ ნიშან-თვისების ან თვისებების საფუძველზე, რომლებიც მეტაფორიზაციის მოტივაციად გვევლინება. ეს ნიშნავს იმას, რომ განსხვავება ჩვეულებრივ ვერბალურ ნიშანსა და მეტაფორულ ნიშანს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ჩვეულებრივ ნიშანს აქვს ერთი აღმნიშვნელი და ერთი აღსანიშნი, ხოლო მეტაფორას კი - ერთი აღმნიშვნელი და ორი აღსანიშნი. აქედან გამომდინარე, მეტაფორა სემანტიკური პარალელიზმის შემცველი ფორმაა: ერთია პირდაპირი, ექსპლიციტურად გამოხატული მნიშვნელობა, მეორე კი - გადატანითი მნიშვნელობა. პირდაპირი მნიშვნელობის საშუალებით ხდება მეორე, ნაგულისხმევი მნიშვნელობის აღქმა-წარმოდგენა და დახასიათება-ინტერპრეტაცია. მეტაფორა ფართო გაგებით გულისხმობს საერთოდ ყველა სახის ტროპს იმდენად, რამდენადაც ყველა ტროპის არსებობის მექანიზმი და არსი მეტაფორულია ანუ გადატანითი. ტროპი (ბერძნ. “tropos” - სამეტყველო კონსტრუქცია) ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში განმარტებულია როგორც სიტყვის ან სიტყვათშეთანხმების პირველადი მნიშვნელობის ისეთი გარდაქმნა, რომელიც მას დამატებით კონოტაციურ ელფერს მატებს (JEC 1990, 520).

მეტაფორის სემანტიკურ სტრუქტურაზე მსჯელობისას, უფრო ზუსტად კი, მეტაფორაში რეალიზებული ორი მნიშვნელობის აღსანიშნად ლინგვისტურ ლიტერატურაში უამრავ სხვადასხვა ტერმინს გამოიყენებენ: „საგანი“ და „ხატი“ (რომელსაც მეტაფორის ასოციაციურ შინაარსსაც უწოდებენ), „თემა“ და „კონტეინერი“, „რეფერენტი“ და „კორელატი“, „წყარო ცნება“ და „სამიზნე ცნება“, და ა.შ. (Арутюнова 1990: 5-32). წყარო, ანუ საწყისი ცნება არის ენობრივი ნიშნის პირდაპირი მნიშვნელობა, ხოლო სამიზნე ცნება არის ის აქტუალური აზრი, რა მიზნითაც მეტაფორიზაცია ხორციელდება (Croft & Cruse 2004, 195). მეტაფორის განსაზღვრება გულისხმობს, რომ სამიზნე ცნება ბუნებით აბსტრაქტირებულია, მაშინ როდესაც საწყისი - კონკრეტულ-კონცეპტუალურია. მეტაფორა მიდის კონკრეტული წყაროდან აბსტრაქტულ სამიზნეში, რის გამოც მკვლევარებს უძნელდებათ მეტაფორული გამოყენების ინტერპრტირება. მეტაფორაში პირდაპირი მნიშვნელობის საშუალებით ხორციელდება მეორე, ნაგულისხმევი მნიშვნელობის აღქმა-გაგება და ინტერპრეტაცია. საილუსტრაციოდ

განვიხილოთ მეტაფორა – “You are a real lion” („ნამდვილი ლომი ხარ.“), რომლითაც შეიძლება მიმართონ მამაც ადამიანს. როგორია მისი სემანტიკური სტრუქტურა? ნებისმიერი ნიშნის მსგავსად, ეს მეტაფორაც სამ ელემენტს შეიცავს: აღმნიშვნელს, აღსანიშნს და მათ შორის კავშირს. ჩვეულებრივ ნიშანში აღმნიშვნელი ერთ აღსანიშნს უკავშირდება („ლომი“ უკავშირდება მხოლოდ გარკვეულ ცხოველს). მეტაფორაში კი აღმნიშვნელი ერთდროულად ორ აღსანიშნს უკავშირდება: 1) ცხოველს, რომელიც ამ ნიშნის პირდაპირი მნიშვნელობაა, და 2) მამაც ადამიანს, რომელიც მეორადი, ანუ გადატანითი მნიშვნელობაა. პირველ მნიშვნელობას აღმნიშვნელი უკავშირდება უშუალოდ, მეორეს კი – პირველის საშუალებით.

მეტაფორის ორივე მნიშვნელობა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მნიშვნელობა, წარმოადგენს ნიშან-თვისებათა კომპლექსს, რომელიც ახასიათებს მოვლენას რეალურად როგორც ონტოლოგიურ კლასს (მაგალითად, რომ ლომი ცხოველია) მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი თვისობრიობის მიხედვით (მაგალითად, რომ ლომი მამაცია) ან სუბიექტური შეფასების შედეგად მისთვის რაიმე ნიშან-თვისების მიწერის გზით. სუბიექტური შეფასებები შეიძლება იყოს ნებისმიერი ხასიათის, მაქსიმალურად მოულოდნელი და ემყარებოდეს უკიდურესად ინდივიდუალურ, მარტო მთქმელისათვის გასაგებ ასოციაციას, და ამდენად მარტო მისთვის იყოს დამაჯერებელი და ცხადი. ასეთი ნიშნები შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტურ ნიშნებად. მეტაფორაში – „შენ ნამდვილი ლომი ხარ.“ – „ლომის“ მნიშვნელობას ქმნის ობიექტური ნიშნები. პირველი მნიშვნელობით, **ლომის** ამოსავალი ნიშნებია: ცხოველი, ძლიერი, ძალაუფლების მოყვარული, ღონიერი, ნადირთა მეფე, მტაცებელი, შიშის მომგვრელი, უყვარს ნავარდი, ეტრფის თავისუფლებას, არის ტრამალის ბინადარი, მონაწილეობს სისხლიან შეტაკებებში. მეორე მნიშვნელობას (**მამაცი მამაკაცი**) კი ქმნის ისეთი ნიშნები, როგორიც არის მამაცი, ძლიერი სქესის წარმომადგენელი, ღონიერი და ძალაუფლების მოყვარული. ამ ორი მნიშვნელობის ერთ სემანტიკურ ერთეულად შეკვრა ხდება მხოლოდ მათი საერთო სემების საფუძველზე. კონკრეტულად, პირდაპირი მნიშვნელობიდან გამოვყოფთ ერთ ან რამდენიმე ნიშანს ასეთ ნიშანს და ვუკავშირებთ მათ მეორე, გადატანით მეტაფორულ მნიშვნელობას –

მლიერი, მამაცი, ღონიერი, ძალაუფლების მოყვარული. თუმცა საერთო ნიშნების გარდა, სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობაში ფიგურირებს ე.წ. „თავისუფალი“ ნიშნები (მაგალითად, ლომისათვის ასეთი ნიშნებია ტრამალი, სისხლიანი შეტაკება, ნადავლი და სხვ.), რომლებიც ასევე ქვეცნობიერად შემოდიან ჩვენს აღქმაში და ამდიდრებენ მამაცი ადამიანის სახეს. ეს განაპირობებს გამონათქვამის არაერთმნიშვნელოვანებას და მის ემოციურ–ესთეტიურ კონცეპტუალურ მნიშვნელობას.

მეტაფორა იქმნება მნიშვნელობის გადატანით აშკარად ნახსენებიდან ნაგულისხმევზე. უფრო ზუსტი გაგებით, ეს არის ერთ აღმნიშვნელთან ორი მნიშვნელობის თანაარსებობა. კოგნიტივისტები ამ პროცესს სამყაროს მეტაფორულ აღქმას (“metaphorical mapping”) უწოდებენ. ერთი შეხედვით, მეტაფორა შეიძლება აბსურდულიც კი ჩანდეს, რადგან ორ ჰეტეროგენულ მოვლენას აერთიანებს. არსებობს აზრი, რომ ის მოვლენა, რომლის საშუალებითაც ხდება აღქმა, უფრო შემოწმებადია, ვიდრე ის მოვლენა, რისი აღქმაც ხდება. გამოთქმები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ მოვლენებს, შეიძლება იოლად იქნეს შემოწმებული ან დადასტურებული დამკვირვებლის მიერ როგორც რაღაც ხილვადი. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ტერმინების აღქმა უფრო იოლია, ვიდრე აბსტრაქტული მოვლენების. როცა აბსტრაქტულს აღვიქვამთ ისე როგორც კონკრეტულს, ჩვენ ვქმნით ობიექტურობის ილუზიას, რითაც ვამარტივებთ კომუნიკაციას აბსტრაქტულთან მიმართებაში.

მე–20 საუკუნის 80–იან წლებში ამერიკული კოგნიტივისტების ჯორჯ ლაკოფის და მარკ ჯონსონის მიერ შემუშავებულ იქნა ე.წ. კოგნიტური, ანუ კონცეპტუალური მეტაფორის ცნება, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მეტაფორის ზოგად თეორიაში. ტრადიციული მოსაზრების საპირისპიროდ, რომ მეტაფორა არის მხოლოდ პოეტური აზროვნების ფორმა, ეს მკვლევარები მიიჩნევენ, რომ “მეტაფორა შეაღწევს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არა მარტო ენაში, არამედ აზრსა და ჩვენ ქმედებაშიც. ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ კიდევაც ვმოქმედებთ, თავიდან ბოლომდე მეტაფორულია თავისი არსით” (Lakoff, Johnson, 1980). მეტაფორა მსჭვალავს მთელს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და გამოვლინდება არა მხოლოდ ენაში, არამედ აზროვნებასა და ქმედებებში. ყოველ–

დღიური ცნებითი სისტემა, რომლის ფარგლებშიც ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ, თავისი არსით მეტაფორულია. თუ ჩვენი ცნებითი სისტემა უმეტესად მეტაფორული ხასიათისაა, გამოდის, რომ ჩვენი აზროვნება, ყოველდღიური გამოცდილება და საქციელი მნიშ-ვნელოვნად არის განპირობებული მეტაფორით.

შეხედულება, რომ ჩვენი ყოველდღიური ცნებითი სისტემა თავისი არსით მეტაფორულია, ეფუძნება ლინგვისტურ მონაცემებს. ენის წყალობით ჩვენ გვეხსნება გზა მეტაფორისკენ, რომელიც გარკვეულ მიმართულებას აძლევს ჩვენს აღზრდას, აზროვნებასა და მოქმედებებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ ლაკოფი და ჯონსონი განიხილვენ კოგნიტურ მეტაფორას “ARGUMENT IS WARE (კამათი ომია). ეს მეტაფორა გამოხატულებას ჰპოვებს მრავალრიცხოვან მეტაფორულ გამოთქმებში. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ არა მხოლოდ ვლაპარაკობთ კამათზე ომის ტერმინებით, არამედ, შესაძლოა ამ პროცესში რეალურად წავაგოთ ან მოვიგოთ. პირს, რომელსაც ვედავებით, აღვიქვამთ, როგორც მოწინააღმდეგეს. ბევრი რამ, რასაც ვაკეთებთ კამათისას, ნაწილობრივ გავიაზრებთ ომის ცნებითი ტერმინებით. სწორედ ამიტომ, მეტაფორა „კამათი ომია“ მიეკუთვნება იმ მეტაფორების რიცხვს, რომლებითაც „ვცოცხლობთ“ ჩვენს კულტურაში.

მეტაფორის არსი არის ერთი ტიპის მოვლენების გააზრება სხვა სახის მოვლენების ტერმინებით. ეს არ ნიშნავს, რომ დავა არის ბრძოლი სახესხვაობა. დავები და ბრძოლები წარმოადგენენ სხვადასხვა რიგის მოვლენებს. საქმე ისაა, რომ დავა ნაწილობრივ წესრიგდება, აღიქმება და ხორციელდება როგორც ბრძოლა და მასზე ლაპარაკობენ ომის ტერმინებით. რთული ცნება "კამათი", აღიქმება უფრო მარტივი და ნაცნობი ცნებით – ომით.

ყოველდღიურ მეტყველებაში ჩვენთვის სავსებით ნორმალურია ავსახოთ კრიტიკა, როგორც შეტევა. იმის საფუძველში, რომ დავაზე ასე ვსაუბრობთ, დევს მეტაფორა, რომელსაც ძნელად ვიაზრებთ. დავების ენა არც პოეტურია, არც ფანტასტიკური, არც რიტორიკული. ეს ბუკვალური აზრების ენაა. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც აქედან გამომდინარეობს ისაა, რომ მეტაფორა არ იფარგლება მხოლოდ ენის სფეროთი. ადამიანის სააზროვნო პროცესები მნიშვნელოვან წილად მეტა-

ფორულია. სწორედ ეს გვაქვს მხედველობაში, როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ადამიანის ცნებითი სისტემა წესრიგდება და განისაზღვრება მეტაფორულად. მეტაფორები, როგორც ენობრივი გამოხატულებანი, შესაძლებელი არიან სწორედ იმიტომ, რომ მეტაფორები არსებობენ ადამიანის ცნებით სისტემაში. ამგვარად, ყოველთვის, როდესაც ვლაპარაკობთ „კამათი ბრძოლა“ ტიპის მეტაფორებზე, შესაბამისი მეტაფორები უნდა გავიგოთ, როგორც მეტაფორული ცნებები.

თავი II

ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორიზაცია ინგლისურენოვან და ქართულ პრესაში

§ 1. ბუნებრივი კატასტროფების, როგორც ცხოველის, მეტაფორული ნომინაცია ინგლისურენოვან საგაზეთო დისკურსში

ემპირიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინგლისურენოვანი პრესა ბუნებრივი კატასტროფების – ცუნამის და ქარიშხლის დახასიათებისას ძირითადად იყენებს ოთხ კოგნიტურ მეტაფორას: იგი წარმოდგენილია როგორც ცხოველი, მონსტრი/ურჩხული, ომი და დამსჯელი ძალა. ამ თემების რეალიზება ხდება უამრავ გამონათქვამებში, რომლებშიც სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები გამოიყენება მეტაფორულად, ანუ ფიგურალური მნიშვნელობით. ამგვარი მიდგომით იქმნება ის ძირითადი კონცეპტუალური მოდელი, რომლის მიხედვითაც პერიოდულ გამოცემებში ასახულია ბუნებრივი კატასტროფები.

ინგლისურენოვან გაზეთებში გამოყენებული ერთ-ერთი მთავარი მეტაფორული თემაა ბუნებრივი კატასტროფების, როგორც ცხოველის აღქმა, რა დროსაც ცუნამსა და ქარიშხალს მიეწერება **სულიერი არსების, კერძოდ, ცხოველის დამახასიათებელი თვისებები**. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს:

1. “The hurricane [...] continued to putter along into adjoining states, though its **teeth** were gone. “

(*The New York Times*, 31 Aug. 2005)

2. “But even if we had a boat, he said, nobody wants fish now – not from a sea that **swallowed so many dead bodies.**”

(*The New York Times*, 3 Jan. 2005)

3. “It [tsunami] pushed them forward, into the town, and then **sucked them back** toward the beach with even greater force. “

(*The Globe and Mail*, 1 Jan 2005)

ცუნამისა და ქარიშხლის გამანადგურებელი ქმედებების აღწერისას სტატიებში გამოყენებულია დენოტაციური მნიშვნელობის მქონე ზმნები, რომლებიც ცხოველისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფიზიოლოგიური ნიშნით განხორციელებულ ქმედებებს აღნიშნავენ:

“The sea **swallows** and **sucks** people” – „ზღვა ყლაპავს და ისრუტავს ადამიანებს”

“The hurricane **pummels** “ – „ქარიშხალი შმაგდება” (*pummels* = hits with fists)

“The wind **kicks up**” – „ქარი ძლიერდება” (*kicks up* - movement with feet).

მოცემულ მაგალითებში ხდება ზღვის, ქარიშხლის და ქარის ქმედებების დატვირთვა სულიერი არსებისათვის, კერძოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. გასულიერება-პერსონიფიკაცია ქარიშხლის მეტაფორიზაციის უნიკალურ გამოსხივებებს გვთავაზობს. ანალოგიური ფრაზები სისტემატურად გამოიყენება ინგლისურენოვან ნიუსებში ამ ბუნებრივი სტიქიის მეტაფორულად დასახასიათებლად:

“Hurricane Patricia: Texas feels effects of storm as **flooding pummels the state**”.

(www.theguardian.com/us-news/2015/oct/24)

“ Hurricane Gonzalo **pummels Bermuda**, moves toward Newfoundland”.

(www.thestar.com/news/world/2014/10/18)

“West Coast hurricane **pummels** Texas with rain”.

(www.mysanantonio.com/news/weather/article/5767088.php)

გაზეთები ხშირად ახდენენ ბუნებრივი მოვლენის იდენტიფიკაციას მხოლოდ ადამიანის საკუთარი სახელით. ასეთებია, მაგალითად, ქარიშხალი „კატრინა“, „პატრიცია“, „რიტა“ და ა.შ.

“**Katrina's** Fearsome Lash (*headline in The Globe and Mail, 30 Aug 2005*)”

“How **Katrina** and **Rita** Affected the Delta (*headline in the Delta news, 29 Sep 2005*)”

აღსანიშნავია, რომ ცუნამის და ქარიშხლის მეტაფორული წარმოდგენა, სინტაქსური სტრუქტურაციის თვალსაზრისით, რეალიზებულია მოკლე წინადადებებით:

1. “The whole sea just **lifted up**. It **swelled up**. There was no sound. The sea just poured on the island (*The Guardian, 27 Dec 2004*).”
2. “It [Hurricane Katrina] **churned directly over** an oceanic feature... (*The New York Times, 29 Aug 2005*)”
3. “Hurricane Katrina **roared in** from the Gulf of Mexico (*The Guardian, 29 Aug 2005*).”

ამ წინადადებებიდან ნათლად ჩანს, რომ ბუნებრივი მოვლენები დახასიათებულია როგორც თვითმყოფადი მოვლენები, რომლებიც გზად ყველაფერს ანადგურებს და სპობს. საინტერესოა, რომ ლოგიკურ სემანტიკაში, რომელიც სარგებლობს არგუმენტებით წარმოდგენილ სიღრმისეულ ბრუნვათა სისტემით, სპეციალურად შემოიღეს ტერმინი „არგუმენტ-ელემენტივი“, რომელიც უსულო აქტიურ შემსრულებელზე მიუთითებს. ჩვეულებრივ, ამ როლში გვევლინებიან სხვადასხვა ბუნებრივი ძალები და მოვლენები, ციური სხეულები და ა.შ. (Aarts 2001: 24; კირვალიძე 2008: 86). ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებში ბუნებრივ კატასტროფებთან მიმართებაში არ ჩანს შემსრულებელი პირი, ე.წ. „აგენსი“. ყველა ამ სტიქიას, მათ შორის ცუნამს, ქარიშხალს, წყალდიდობას და სხვას აქვს საკუთარი ენერგეტიკა, რის გამოც ისინი შეიძლება სიღრმისეულ დონეზე „ელემენტივად“ აღვიქვათ. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ყველა წინადადება მოქმედებით გვარშია. მაგალითად:

1. “ Raging waters swept villagers out to sea and tore children from their parents’ arms (*The Globe and Mail, 27 Dec 2004*).”
2. “Hurricane Katrina pounded the Gulf Coast with devastating force at daybreak on Monday (*The New York Times, 30 Aug 2005*).”

3. "The waves engulfed packed coastal resorts in Thailand, swamped fishing villages along the Indian coast, and smashed coastal resorts in Sri Lanka (*The Guardian*, 27 Dec 2004)."

ცუნამი და ქარიშხალი ითავსებენ ცხოველის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს – ხმებს, რომლებსაც ეს ბუნებრივი კატაკლიზმები გამანადგურებელი ქმედებებისას გამოსცემენ: "They roar and howl" (*ისინი ღრიალებენ და ღმუიან*). ამ ხმებს ნეგატიური კონოტაცია აქვს, რადგანაც ისინი ბუნებრივ მოვლენას გვიხატავენ გააფ-თრებულ, სასტიკ და გამანადგურებელ მოვლენად. „გააფთრება“ ნაგულისხმევია ფრაზაში "savage winds" (*გააფთრებული, სასტიკი ქარიშხალი*). ამ შემთხვევაში გამოყენებულია ზედსართავი სახელი, რომელიც ჩვეულებრივ ველური და მრისხანე ცხოვე-ლების აღსაწერად გამოიყენება. იდენტურ ემოციურ ფონს ქმნის ქვემოთ მოყვანილი მეტაფორებიც:

1. "The waterline was dipping off to the sides and rising **furiously** in the middle. (*The New York Times*, 31 Dec 2004)"
2. "I want to send pictures back home to the United States so that my family and friends can see **the wrath** of Mother Nature," he said(*The Globe and Mail*, 4 Jan 2005)."
3. "This hurricane killed dozens and cut a swath of **fury** across the U.S. South (*The Globe and Mail*, 30 Aug 2005)."
4. "A day after New Orleans thought it had narrowly escaped the worst of Hurricane Katrina's **wrath**, water broke through two levees on Tuesday. (*The New York Times*, 31 Aug 2005)."

ილუსტრირებულ მაგალითებში ცუნამი და ქარიშხალი დახასიათებულია როგორც გაცოფებული და განრისხებული სასტიკი ბუნებრივი მოვლენები. ამგვარი ემოციური მდგომარეობის მიზეზი ბოლომდე ახსნილი არ არის, თუმცა სიტყვების – "wrath" (სიმმაგე, მრისხანება), "fury" (სიბრაზე, სიცოფე), "furiously" (ცოფიანვით) გამოყენება გულისხმობს, რომ ბუნებრივი კატასტროფების ქმედების მოტივი ადამიანებზე შურისძიება და მათი დასჯაა გარკვეული მიზეზების გამო.

ქარიშხლის და ცუნამის დახასიათებისას წინადადებებში ხშირია ისეთი ზმნე-ბის მეტაფორული გამოყენება, როგორცაა “pummel” („მუშტებით ცემა“ / „მუშტების რტყმა“), “batter” („ცემა“), “assault” („იერიში/შეტევა“), “strike” („დარტყმა“), “lash” („გამათრახება“), “smash” („მსხვრევა“), “pound” („თავს დატყდომა“), “sweep” („წალეკვა“) და ა.შ. სემანტიკური თვალთახედვით, თითოეული ეს ზმნა მოითხოვს გარკვეულ ძალას, ამ ქმედებათა შემსრულებლის მხრიდან. ბუნებრივ კატასტროფებთან მიმართებაში, აგენსის როლს ითავსებს ელემენტივი, რომელიც ამ შემთხვევაში ქარიშხალსა და კონტროლიდან გამოსულ წყალზე მიუთითებენ.

§2. ბუნებრივი კატასტროფების, როგორც მონსტრის მეტაფორული ნომინაცია ინგლისურენოვან საგაზეთო დისკურსში

ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებული კოგნიტური მეტაფორის მეორე სემანტიკური ტიპი, რომლის საშუალებითაც ხდება ცუნამისა და ქარიშხლის სახალ-ხო აღქმა და რომელსაც რეგულარულად მიმართავენ გაზეთები, ინგლისური ენის მატარებელთა ცნობიერებაში დაფუძნებულია დემონიზაციის თემაზე. მათში, ხსენებული ბუნებრივი სტიქიების აღქმა ხდება მათი გაიგივების ან შეპირისპირების გზით გიგანტურ, საშიშ და მძვინვარე სულიერ არსებასთან – მონსტრთან, ანუ ურჩხულთან. ემპირიული მასალის ანალიზმა წარმოაჩინა, რომ საინფორმაციო შეტყობინებებში ლექსემის – „ურჩხული/მონსტრი“ – გამოყენებით ხდება როგორც ცუნამისა და ქარიშხლის პირდაპირი იდენტიფიკაცია, ასევე მისი თვისობრივი დახასიათება. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანო რამოდენიმე მაგალითს:

1. "The deadly wave was unimaginably big, stretching to the horizons, and it struck suddenly, looming up **with a roar like a monster** from the deep. (*The New York Times*, 27 Dec 2004)."
2. "Now they understood why such **a monster tsunami** had been unleashed (*The New York Times*, 31 Dec 2004)."
3. "More than 300 people were killed last week by **monstrous storms** that swept through south (*The New York Times*, 2005)."

4. "Officials in Louisiana and Mississippi said it was too early to calculate the number of lives lost in **the monster storm** (*The Globe and Mail*, 31 Aug 2005)."

ზემომოყვანილ ყველა მაგალითში ცუნამის გაიგივება მონსტრთან ხდება როგორც თავად ლექსემა „მონსტრი“-ის საშუალებით, ასევე მისი ქმედებების გამომხატველი ზმნებით და ეპითეტებით. პირველ მაგალითში ლაპარაკია, თუ როგორი „ღრიალით და მძვინვარე მონსტრით ამოიჭრა სიღრმიდან წარმოუდგენლად დიდი, მომაკვდინებელი ტალღა და დაფარა ჰორიზონტი.“ მომდევნო მაგალითებშიც ყველგან ფიგურირებს ფრაზები: “a monster tsunami” , “monstrous storms”, “the monster storm”, “killed”, “lives lost in the tsunami”, etc.

გარდა ექსპლიციტური საშუალებებისა, გაზეთები ემოციური შეფერილობისთვის რამდენიმე სხვა დისკურსულ საშუალებასაც იყენებენ, რათა უფრო ნათლად მოახდინონ ბუნებრივი მოვლენის, როგორც მონსტრის, მეტაფორული ნომინაცია. ბუნებრივი მოვლენის სიდიდის და სიმძლავრის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად სტატიები გავსებულია ისეთი ჰიპერბოლური ზედსართავი სახელებით, როგორიცაა “massive” („მასიური“), “colossal” („კოლოსალური“), “huge” („უზარმაზარი“), “giant” („გიგანტური“), “mammoth” („ვეება, ვეებერთელა“) და “gargantu” („უზარმაზარი“). მათი საშუალებით ბუნებ-რივი მოვლენა დახასიათებულია როგორც არანორმალური ფიზიკური ძალა. მისი ამგვარი დახასიათება რეალიზებულია ისეთი ზმნების მეშვეობით, რომლებიც აღ-ნიშნავს მატერიალურ პროცესებს და მოითხოვს მოქმედების შემსრულებელ გარკვე-ულ ძალას: ეს ზმნებია: “batter” („ცემა“), “smash” („მსხვრევა“) and “ravage” („განადგურება“). ეს ზმნები ნათლად მიუთითებს ბუნების მიერ ადამიანებსა და გარემოზე ძალადობაზე. გარდა ამისა, ცუნამის და ქარიშხლის უჩვეულო ძალა გადმოტანილია კონოტაციუ-რი ზმნების მეშვეობით, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ წინადადებებშია მოცემული:

1. "Teams of elephants are helping recover the bodies of tsunami victims **swept** three or four kilometres inland by the massive wave (*The Globe and Mail*, 6 Jan 2005)."

2. “It **picked up** cars and **swept** them hundreds of yards inland (*The New YorkTimes, 31 Dec 2004*).”
3. “The rising flow **pushed them upward** and **pinned them against the ceiling** and the top of the door frame (*The Globe and Mail, 27 Dec 2004*).”
4. “Modest bungalows and working-class apartment buildings **were thrashed, torn open like cellophane bags** (*The New York Times, 31 Aug 2*).”
5. “Winds of more than 100mph **peeled away aluminium sheets** of the metal roof of the Superdome Arena, (*The Guardian, 30 Aug 2005*).”
6. “A 23-foot surge of water **hit it, flexing the roof like a deck of cards** (*The New York Times, 30 Aug 2005*).”

ჩვენს მიერ მოყვანილ წინადადებებში არა მარტო პირდაპირ ხდება ქარიშხლის და ცუნამის გაიგივება ურჩხულთან, არამედ ხდება მისი თვისობრივი დახასიათება ზმნებისა და ეპითეტების საშუალებით, რომლებიც ამ სტიქიების უდიდეს ზომას და დამანგრევე ძალას უსვამენ ხაზს. მათ წაღვეს და მოსპეს ყველაფერი, რაც გზად დახვდათ – ნაფოტებივით წარიტაცეს სახლები, ჰაერში აბურთავეს მანქანები და მატარებლები და ა.შ. თემის ამგვარ ასოციაციურ წარმოდგენაში იგულისხმება, რომ, ზოგადად, ბუნებრივი მოვლენა ძალით ადამიანს აღემატება.

ცუნამის შესახებ თვითმხილველთა აღწერებში ვლინდება ამ მოვლენის საშინელო ასპექტი. ბუნებრივი მოვლენის მიერ გამოცემულ ხმას ისინი აღწერენ ჰიპერბოლური ზედსართავი სახელით (“horrendous” – „საშინელი“, „საზარელი“). იყენებენ გამეორებებს, რათა უფრო გამძაფრებულად წარმოაჩინონ ბუნებრივი მოვლენა და გაამძაფრონ შიში მის მიმართ. ისინი ბუნებრივ მოვლენებს ახასიათებენ როგორც რაღაც ამოუხსნელს საშინელებათა ფილმიდან. მომდევნო მაგალითშიც აშკარად ჩანს შიშის გრძნობა:

“There was **this black thing** above us, high in the air (eyewitness account in *The Globe and Mail, 1 Jan 2005*).”

მაღლა, ჰაერში, გაურკვეველი შავი რაღაც გამოჩნდა.

სიტუაციის ამგვარი აღწერით თვითმხილველი გულისხმობს, რომ არ არსებობს სიტყვა, რომელმაც შეიძლება ზუსტად დაახასიათოს ბუნებრივი მოვლენა. ამიტომ აღწერს მას როგორც *რაღაც შავს*, იდუმალებით მოცულს და უცხო ხვეულებრივი მოკვდავებისათვის. შავი ფერი უარყოფითი კონოტაციის მატარებელია და შიშის გრძნობას იწვევს. ჰოუკინსი (Hawkins 2001) განმარტავს, რომ შავი ფერი, რომელიც თეთრის საპირისპიროა, თავისი ბუნებით უარყოფითია, რადგანაც იგი უკავშირდება სიკვდილს. ეს დამოკიდებულება მომდინარეობს იმ გამოცდილებიდან, რომელიც გვაქვს სიბნელესა და სინათლესთან მიმართებაში (Hawkins 2001). აქედან გამომდინარე, სინათლე და მასთან უშუალო კავშირში მყოფი თეთრი ფერი სიცოცხლის პოზიტიურ სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო სიბნელე და მასთან დაკავშირებული შავი ფერი უკავშირდება სიკვდილს (Hawkins 2001: 41). შავი ფერი ბუნებრივი კატასტროფების დასახასიათებლად ხშირად არის გამოყენებული სტატიებში. იგი საშუალებას იძლევა, ეს მოვლენები წარმოჩინდეს აუხსნელ, უკონტროლო დამანგრეველ და სასტიკ ძალად. ბუნებრივი კატასტროფების ამგვარი დახასიათება კიდევ უფრო მძაფრდება მაშინ, როდესაც შავ ფერს თან ერთვის ადიექტიური ეპითეტი “menacing” – „მუქარის მომგვრელი“, „ავისმომასწავლებელი“, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია:

“The ocean's abruptly changed colors from green to a dark, **menacing black**.

(The New York Times, 31 Dec 2004).”

„ოკეანის მწვანე ფერი მყისიერად შეიცვალა ავისმომასწავლებელ შავად.”

სიტუაციის ასეთი დახასიათება ოკეანეს წარმოაჩენს მტრად და საფრთხედ ადამიანებისთვის. ბუნებრივი მოვლენის დახასიათებისას, მისთვის მიწერილი სასტიკე, რომელსაც იგი ადამიანებზე თავდასხმის და მათთვის ზიანის მიყენების დროს ავლენს, გამძაფრებულია იმიტაც, რომ იგი არ აძლევს არავითარ მინიშნებას ადამიანებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში საუბარია ბუნებრივ მოვლენაზე – ცუნამზე. ეს არის მოულოდნელობის ის ეფექტი, რომელსაც გაზეთები ხშირად იყენებენ ბუნებრივი კატასტროფების დახასიათებისას.

სიტუაციის ამგვარად წარმოჩენის ეს ტენდენცია, მთელ პასუხისმგებლობას ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მიყენებულ ზარალზე აკისრებს თავად ამ მოვლენებს და ხელს უწყობს სიტუაციის დრამატიზებას. ეს სტიქიები ექსპლიციტურად არის დახასიათებული როგორც უმოწყალო მოვლენა, რომელიც მტრულად არის განწყობილი ადამიანების მიმართ. სისასტიკედ მიიჩნევა ის, რომ ცუნამი და ქარიშხალი უცაბედად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ესხმიან თავს ადამიანებს და შესაძლებლობას არ აძლევს მათ რაღაც დოზით მაინც მომზადებული შეხვდნენ მოსალოდნელ პრობლემას.

1. “Then, **without warning**, the sea turned ferocious (*Gulf News*, 27 Dec 2004) .”
„შემდეგ, მინიშნებების გარეშე, ზღვა გამძვინვარდა.“
2. “**Out of the blue**, a deadly wall of water swelled up(*The Guardian*, 27 Dec 2004). “
„სრულიად მოულოდნელად, წყლის მომაკვდინებელი კედელი წამოიშრდა.“
3. “ **With Few Warning Signs**, an Unpredictable Behemoth Grew (*headline in The Guardian*, 29 Aug 2005).”
„ძალიან მცირე მინიშნებებით, გაუთვალისწინებელი ურჩხული წამოიზარდა.“

ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორული წარმოჩენა მონსტრის სახით ამ მოვლენებს ხალხისთვის უფრო გასაგებს ხდის. ეს არის ბუნებრივი კატასტროფების წარმოჩენის ერთ-ერთი კონცეპტუალური მეთოდი, რომლის დახმარებითაც ეს კატაკლიზმა ადამიანთათვის უფრო ცხადად აღქმადი და ადვილად წარმოსადგენი ხდება. არსებული სურათის დემონიზებული აღწერით, მეტაფორა იწვევს ინტენსიურ ნეგატიურ ემოციებს – პანიკას, შიშს, საფრთხის და სიკვდილის შეგრძნებას. ეს ყველაფერი კი ხშირ შემთხვევაში ადამიანებს არ აძლევს საშუალებას, რაციონალურად მიუდგნენ ბუნებრივ კატასტროფას და განახორციელონ კონსტრუქციული ქმედებები რათა მას თავი დაადწიონ გონივრული გზით.

§3. ბუნებრივი კატასტროფების, როგორც ომის მეტაფორული ნომინაცია ინგლისურენოვან საგაზეთო დისკურსში

ბუნებრივი მოვლენის რეპრეზენტაცია კიდევ უფრო გამძაფრებულია გაზეთებში ისეთი მეტაფორული თემის გამოყენებით, როგორცაა ომი. ბუნებრივ კატასტროფებს – ცუნამს და ქარიშხალს გაზეთები მიაწერს მახასიათებელს – სისასტიკეს. სტატიები ბუნებრივ მოვლენას ახასიათებენ უმოწყალო და სასტიკ მოვლენად. საგაზეთო დისკურსის მიერ ბუნებრივი მოვლენის ამგვარი დახასიათებით ნათლად წარმოჩენდება, რომ ბუნებრივ მოვლენას არავითარი დანდობა არ გააჩნია ხალხის მიმართ, ის სრულებით არ იწყნარებს ხალხს. ომის მეტაფორული თემა ხშირად რეალიზდება ექსლიციტური შედარებებით.

1. "It looks **like we've been nuked** or **reporters likened it to war zones**. Almost every building has been leveled or gutted, **as if a bomb had exploded**. (*The Globe and Mail, 30 Dec 2004*)."
2. "It brought back images of **the war**, which I lived through as a boy. It looked **like after a heavy bombardment** (*eyewitness account in The Guardian, 31 Dec 2004*)."
3. "When that finished, there was a noise **like a bomb** (*eyewitness account in The Guardian, 31 Dec 2004*)."
4. "She heard what she thought was **an explosion** (*The New York Times, 7 Jan 2005*). "

მოცემული მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ არსებულ სიტუაციაში თვითმხილველი ბუნებრივ კატასტროფას ომს ადარებს. სიტუაციის ამგვარი წარმოდგენით, ადამიანისთვის უფრო გასაგები ხდება ბუნებრივი კატასტროფის ჯერ კიდევ შეუცნობელი არსი, რადგანაც ხდება სტიქიური მოვლენის დაახლოება ადამიანის გამოცდილებასთან. შედარებების გარდა, ომის თემაზე საგაზეთო დისკურსში ასევე გამოიყენება სხვა მეტაფორული გამოქმებიც. მაგალითად, ქარიშხლის დახასიათება ადამიანის მიერ შემუშავებული ომის სტრატეგიული ნიშნებით – ბუნებრივი მოვლენა თითქოსდა „მიზანმიმართულად“ მოქმედებს, საკუთარ წესებს ავრცელებს-

ხალხზე და ანადგურებს გარემოს. სწორედ ამგვარად არის მეტაფორულად გადმოცემული ცუნამისა და ქარიშხლის ქმედებები მომდევნო წინადადებებში:

1. “The water separated, then it **attacked** (*The New York Times, 31 Dec 2004*).”
2. “The hurricane **targeted** the heart of U.S. oil (*The Globe and Mail, 29 Aug 2005*).”

ნაცვალად იმისა, რომ ქარიშხლის და ტალღების მოძრაობას მისცემოდა გეოფიზიკური დახასიათება, გაზეთი ამ ბუნებრივ მოვლენებს ომის ისეთი სტრატეგიებით გვიხატავს, როგორცაა “იერიშის განხორციელება“ ან „მიზანში ამოღება“, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანებისთვის შეგნებული ზიანის მიყენებაზე, მათ ფიზიკურ განადგურებასა და მათი საკუთრებისათვის საფრთხის შექმნაზე.

მომდევნო მაგალითებიც ცხადად წარმოაჩენს, თუ როგორი გამანადგურებელი შედეგი ჰქონდა ბუნებრივ ინდოეთის ოკეანის 2004 წლის ცუნამს გარემოსა და ხალხზე. ისინიც კოგნიტური მეტაფორის – „ბუნებრივი კატასტროფა ომია“ – გამოხატულებებს წარმოადგენენ, რაზედაც მიგვანიშნებს მათში გამოყენებული:

1. “Massive ocean waves launched by an earthquake of historic size **devastated coastal areas** of Sri Lanka, India, Indonesia and Thailand yesterday, **killing more than 13,300 people** (*The Globe and Mail, 27 Dec 2004*).”
2. “More than 12,600 people **were killed** and millions more **displaced** in eight countries by a wall of water **unleashed** by the biggest earthquake for 40 years (*The Guardian, 27 Dec 2004*).”
3. “**Tsunami Kills Thousands** as Quake-Spawned Waves Crash on to Coastlines Across Southern Asia (*News Letter, 27 Dec 2004*).”

§4. ბუნებრივი კატასტროფები, როგორც დამსჯელი ძალა ინგლისურენოვან საგაზეთო დისკურსში

ქარიშხლის და ცუნამის უარყოფითად წარმოჩენის მიზნით, გაზეთები ხშირად იყენებენ კოგნიტურ მეტაფორას – „ბუნებრივი სტიქია, როგორც დამსჯელი ძალა“, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს კონკრეტულ მეტაფორულ ფრაზებში:

1. “Our mother **has punished** us (*The New York Times*, 5 Jan 2005).”
2. “The storm was potent enough to rank as one of **the most punishing hurricanes** ever to hit the united States (*The New York Times*, 30 Aug. 2005).”

საილუსტრაციოდ მოყვანილ ორივე ფრაგმენტში 2005 წლის ქარიშხალი კატრინა მეტაფორულად არის განზოგადებული და შეფასებული როგორც დამსჯელი ძალა: „ქარიშხალი ისეთი ძლიერი იყო, რომ ის ჩაითვალა ერთ-ერთ ყველაზე დამსჯელ ქარიშხლად, რომელიც კი თავს დატყდომია ამერიკის შეერთებულ შტატებს.“

მიზეზი, თუ რისთვის „ისჯებიან“ ადამიანები ბუნებრივი მოვლენების მიერ ინგლისურენოვან კულტურასა და ეთნოფსიქოლოგიაში, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას იმით, რომ, „დასჯის“ თემა, ერთი მხრივ, ხალხში დანაშაულის გრძნობას იწვევს – რომ ბუნება სჯის ადამიანებს ჩადენილი ქმედებებისა და ცოდვებისთვის; ხოლო, მეორე მხრივ, „დასჯის თემა“ ბუნებრივ დამანგრეველ სტიქიას წარმოგვიდგენს ბოროტ მოვლენად. საბოლოო ჯამში, ომის მეტაფორული თემა ქარიშხალს და ცუნამს ახასიათებს ბოროტ და ხალხისადმი მტრულად განწყობილ ძალად, რაც ართულებს ამ მოვლენების რაციონალურ გააზრებას. ამით, იქმნება გაუცხოება ბუნებას და ადამიანებს შორის, რაც აბრკოლებს სტიქიის შემაკავებელი და მისი დამანგრეველი შედეგების პრევენციულ-შემამცირებელი ღონისძიებები გატარებას.

§5. ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორული ნომინაცია

ქართულ საგაზეთო დისკურსში

სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია 2016 წლის 13 ივნისის და 1960 წლის 4 ივლისის სტიქიური მოვლენების ამსახველი მასალის განზოგადება და მათი შეპირისპირებითი ანალიზი წინა პარაგრაფებში განხილულ ემპირიულ მასალასთან, რის საფუძველზეც შევეცდებით მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებების წარმოჩენას.

როგორ ხდება მდინარე ვერეს ადიდებით და კალაპოტიდან გადმოსვლის შედეგად შემნილი დრამატული ვითარების მეტაფორული გადმოცემა ქართულ პრესაში და შეიმჩნევა თუ არა პარალელები ინგლისურენოვან მასალასთან? ინტერნეტით მოძიებული ენობრივი მასალის განზოგადებამ შესაძებლობა მოგვცა განვაცხადოთ, რომ ქართულ საგაზეთო დისკურში წყალთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების ასახვა ნაწილობრივ იდენტურია ინგლისურენოვან პრესაში მათ პრეზენტაციასთან. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ინგლისურენოვან სამყაროში ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორიზაცია ხდება ჩვენს მიერ გამოვლენილი ოთხი კოგნიტური მოდელით, ქართულ ეთნოკულტურაში კი მსგავსი ბუნებრივი სტიქიის მეტაფორიზაცია ხდება მხოლოდ ორი ცნებითი მოდელით, რომელშიც ბუნებრივი კატასტროფა გაიგივებულია გაცოფებულ ცხოველთან და ომთან. ქვემოთ შევეცდებით წარმოვაჩინოთ, მათი ენობრივი გაფორმების თავისებურებები, რაც ჩვენი აზრით, განპირობებულია ქართული ეთნოფსიქიკური და კულტურული თავისებურებებით.

5.1 ბუნებრივი კატასტროფა, როგორც გაცოფებული ცხოველი

ემპირიული მასალის განზოგადებამ წარმოაჩინა, რომ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში წყალთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფები ასოცირდება გაცოფებულ ცხოველთან და მის ქმედებებთან, რაც, პირველ რიგში, მეტაფორულ გამოხატულებას ჰპოვებს ლექსემაში - „ღვარცოფი“, რომელიც მთვარ/ცენტრალურ თემატურ სიტყვად გვევლინება ამ მოვლენების ასახვისას. მიგვაჩნია, რომ ამ სიტყვას არა აქვს ანალოგი ინგლისურენოვან კულტურაში, რადგანაც მის სემანტიკაში იმპლიცირებულია, ერთი მხრივ, ისეთი ბუნებრივი მოვლენა, როგორც არის *ნიაღვარი*, ხოლო მეორე მხრივ – *გაცოფებული ცხოველი*. ბუნებრივი კატასტროფის მეტაფორ-

რიზაციის შედეგად, ეს ორი რთული სემანტიკური კომპონენტი იკვეცება და ერთმანეთს ერწყმის, რაც ზედაპირულ დონეზე გამოხატულებას ჰპოვებს კომპოზიტში „ღვარცოფი“, რომელიც უდიდესი გამოხატულებითი პოტენციალით ხასიათდება როგორც ყოველდღიურ, ასევე ფორმალურ დისკურსში. ასე მაგალითად:

1. დამანგრეველი წყალდიდობა და ღვარცოფი ვერეს ხეობაში

საქართველოში დღეს გლოვის დღეა. 13 დაღუპული, 10 დაკარგული და 200-ზე მეტი უსახკლაროდ დარჩენილი ადამიანი – წინასწარი ინფორმაციით, ასეთი ტრაგიკული შედეგით დასრულდა კატასტროფული წყალდიდობა და ღვარცოფი თბილისში, რომელიც 13 ივნისს გვიან ღამით დაიწყო და 14 ივნისის დილამდე გაგრძელდა.

გარემოს დაცვის სამინისტროს განცხადებით, ადიდებული წყალი ღვარცოფად მოაწყდა თბილისს, საათში, დაახლოებით, 50 კილომეტრის სიჩქარით.

მდინარე ვერე გოფრირებულმა მილებმა ველარ გაატარა და ღვარცოფად მოვარდნილმა წყალმა ელვის უსწრაფესად დატბორა და დაანგრია სახლები, მაღაზიები, ხიდები, სკოლა, ზოოპარკი; ახალი ესტაკადიდან მტკვრის სანაპირომდე გაიტაცა ადამიანები და ავტომანქანები. ზოოპარკის ტერიტორიაზე დახოცა ცხოველები და მათი მომვლელები.

(http://www.ambebi.ge/15_06_2015)

2. (ამონარიდი პატრიარქის ქადაგებიდან) მოხდა საშინელი ტრაგედია საქართველოში. „ღვარცოფის, ნიაღვრის და წვიმის შედეგად დაიღუპა 13“.

3. ივნისის წყალდიდობა: ქრონიკა და შედეგები

„ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, მინიმუმ, ოთხი ადამიანი დაიღუპა 13 ივნისს, ღამის საათებში თბილისში დაწყებული წყალდიდობის შედეგად. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო ვაკე-საბურთალოს ახალი გზის გასწვრივ მდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც ღვარ-

ცოფად მოასკდა კალაპოტიდან გადმოვარდნილი და გაგიჟებული მდინარე ვერე.

ორი ქალის ცხედარი სვანაძის ქუჩაზე, ერთერთ დატბორილ სახლში იპოვეს, გარდაცვლილია ასევე ზოოპარკის ერთი თანამშრომელი, **გაგიჟებულმა მდინარე ვერემ** წაიღო კიდევ ერთი მოქალაქე. დაღუპულთა რიცხვი, შესაძლოა, გაიზარდოს, რადგან ამ დრომდე უშედეგოდ ეძებენ უგზო-უკვლოდ დაკარგულებს, რომელთა ზუსტი რაოდენობა არ სახელდება.

"რუსთავი-2"-მა გაავრცელა კადრები, სადაც ჩანს, **როგორ წაიღო გაგიჟებულმა მდინარე ვერემ საცხოვრებელი სახლი**. მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ამ დატბორილი სახლებიდან შიგ მყოფი ადამიანები ფარნების ანთება-ჩაქრობით ცდილობდნენ უბედურების მაუწყებელი სიგნალი მაშველებისთვის გაეგზავნათ.

ღვარცოფმა მთლიანად წალეკა ელიზბარაშვილის ძაღლების თავ-შესაფარი, ქვედა ვოლიერებში მყოფი დათვები ცოცხლად დაიხრჩვენ, წყალმა გაიტაცა ძაღლები... „

(*ქრონიკა, რუსთავი-2, 2015-06-14 06:34*)

4. **დაიღუპა ხალხი. განადგურდა ზოოპარკი.** ცხოველები თავისი ადგილებიდან გადმოვიდნენ და ადამიანებისთვის საშიში გახდნენ.

(http://www.pressa.ge/15_o6_2015)

ანალოგიურად არის აღწერილი პრესაში 2012 წელს კოვისპირული წვიმის შედეგად გამოწვეულ ღვარცოფი, რომელსაც ასევე მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი:

"კოვისპირული წვიმის გამო მოვარდნილ ღვარცოფს მსხვერპლი მოჰყვა. დაიღუპა 5 ადამიანი, მათ შორის ორი მცირეწლოვანი, 5 წლის და 6 თვის ბავშვები. წყალდიდობას ემსხვერპლა 2 ქალბატონი და ერთი ასაკოვანი მამაკაცი... ღვარცოფმა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ავტომანქანები ამოაბრუნა. დატბორილია რამდენიმე საცხოვრებელი სახლიც. (*კვირის პალიტრა, 13-05-2012*)."

ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ერთ-ერთი თვითმხილველის მონათხრობი, რომელშიც უაღრესად ემოციურ ფერებშია აღწერილი ამ დღის ტრაგიკული ამბები. აი რას უყვება 52 წლის მზია ჩარგეიშვილი *კვირის პალიტრის* ჟურნალისტს:

„როცა წივმამ დაუშვა, შემეშინდა და გადავწყვიტე მუშაობა დროზე ადრე დამემთავრებინა. მარკეტი დავეკეტე და სახლისკენ წასვლა დავაპირე. გარეთ რომ გავედი, ქარი ამოვარდა. ისეთი წარღვნა იყო, ვიფიქრე, მეორედ მოსვლა ხომ არ იწყება-მეთქი...

ჩემ სახლამდე აღმართის ავლა მიწევს. სანამ იქ ავედი, მუხლებამდე წყალი დამემბგერა და რომ არ წავექცეულიყავი, ღობეს მოვეჭიდე. ზემოდან მომავალი წყლის ნაკადი ყოველ წამს იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ღვარცოფმა და ქარიშხალმა ჩემს თვალწინ უზარმაზარი ხე მოთხარა და გზაზე დაახეთქა. შიშისგან ისტერიული კვილი დავიწყე. ამ დროს ვიღაცამ მანქანა გამიჩერა და შიგნით შემადგო. ტრასამდე ჩამიყვანეს, სადაც უკვე საპატრულოს და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები ტრიალებდნენ.

ეტყობა, ჩვენ გამოვასწართ, რადგან შემდეგ იმ გზიდან ღვარცოფმა უამრავი დამტვრეული მანქანა ჩამოიტანა... მთელი სხეული დაბეჭილი და დაკაწრული მაქვს. დილას გავიგე, რომ წყალმა ჩემი მაღაზიაც დატბო-რა, მაგრამ არაფერს ვჩივი. მთავარია, რომ გადავრჩი. ჩემი მეზობლები უსახლკაროდ დარჩნენ (*კვირის პალიტრა*, 13-05-2012)."

მოცემული მაგალითების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ საგაზეთო ტექსტშიც წყალთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორიზაცია ხორციელდება მისი გაიგივებით გაცოფებულ ცხოველთან, რომელიც არანაირ კონტროლს არ ექვემდებარება და გარემოს სასიკვდილო დარტყმას აყენებს. ამ მეტაფორებში მთავარი მოქმედი ძალა სემანტიკურ დონეზე არგუმენტ-ელემენტივია, რომელიც უსულო შემსრულებელ ძალაზე მიუთითებს წინადადების სიღრმისეულ სტრუქტურაში. ზედაპირულ დონეზე კი ის წარმოდგენილია ლექსემით „ღვარცოფი“, რომელიც, ცენტრალურ თემატურ სიტყვას წარმოადგენს ამ მოვლენის ამსახველ ტექსტებში. საინტერესოა, რომ

თვითმხილველის დისკურსში ასევე გაიჟღერა სიტყვებმა *წარღვნა* და *მეორედ მოსვლა*, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ბუნებრივი სტიქიის მეტაფორულ აღქმა-განზოგადებას.

ისევე როგორც ინგლისურენოვან დისკურსში, ქართულშიც ამ სახელის აქტუალიზება ტექსტში ხდება ისეთი ზმნების საშუალებით, რომელთა ერთობლიობაც მთელი სიცხადით წარმოაჩენს ამ ბუნებრივი სტიქიის გამანადგურებელ ძალას. ასეთი ზმნებია *„მოვარდა“*, *„მოასკდა“*, *„გაგიჟდა“*, *„წაღეკა“*, *„დაახრჩო“*, *„გაანადგურა“*, *„გაიტაცა“*, *„დაანგრია“*, *„ამოაბრუნა“*, *„დაგლიჯა“*, *„დაახეთქა“*, *„დახოცა“* და სხვ. ამ ბუნებრივი კატას-ტროფის მეტაფორიზებული სურათის შექმნაში არანაკლები დატვირთვა აქვს ისეთი ზედსართავი სახელებისა და ადვერბიალური სიტყვების გამოყენებას, როგორიცაა *„გაგიჟებული“*, *„გაცოფებული“*, *„ელვის უსწრაფესად“* და ა.შ.

5.2 წყალდიდობა და ღვარცოფი, როგორც ომი ქართულ საგაზეთო დისკურსში

ემპირიული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ წყალდიდობის მეტაფორიზაცია ქართულ ენაში თანაბრად ასოცირდება გაცოფებული ცხოველის ქმედებებთან და ადამიანის მიერ წარმოებული ომის მომაკვდინებელ-გამანადგურებელ დარტყმებთან. გთავაზობთ რამოდენიმე მაგალითს, რომლებშიც ვერეს ხეობის კატასტროფის მეტაფორული ასახვა ხორციელდება ომის ტერმინოლოგიის გამოყენებით:

1. თბილისი წყალდიდობას ებრძვის – ტექნიკა მობილიზებულია

თბილისი წყალდიდობას ებრძვის. დატბორილია ნუცუბიდის პლატო. ვერეს ხეობაში მდებარე სახლები წყლის ქვეშ მოექცა. თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი წყალმა წაღეკა. ჩამოინგრა კაზინო „ევროპას“ კედელი. (info.ge 14-06-2015)

2. "პირველი დარტყმა სვანაძისა და წყნეთის ქუჩების მაცხოვრებლებმა მიიღეს, შესაბამისად აქ ყველაზე დიდია მსხვერპლი. ადამიანებთან

ერთად, აქ წყალმა 350-მდე ძალი და 10-მდე დათვი დაახრჩო, ბიზნესმენ ელიზბარაშვილის ძალთა თავშესაფარი მთლიანად განადგურებულია. ორი ქალის ცხედარი სვანაძის ქუჩაზე ერთერთ დატბორილ სახლში იპოვეს. დაღუპულია ასევე ზოოპარკის ერთი თანამშრომელი. არსებული ინფორმაციით, დაიღუპა კიდევ ერთი ადამიანი. დაღუპულთა რიცხვი, შესაძლოა გაიზარდოს, რადგან ამ დრომდე უშედეგოდ ეძებენ უგზო-უკვლოდ დაკარგულებს, რომელთა ზუსტი რაოდენობა არ სახელდება. <http://www.amerikiskhma.com/a/tbilisi-floods/2822150.html>"

2015 წლის 13 ივნისის ღვარცოფის შემდეგ, ქართულ ინტერნეტ სივრცეში გამოჩნდა ჟურნალისტ ედიშერ ყიფიანის ჩანაწერები, რომლებშიც თითქმის იდენ-ტურად არის ომის კონცეპტუალური სისტემით მეტაფორულად გადმოცემული 1960 წლის წყალდიდობის ეპიზოდები. 1960 წლის 4 ივლისს, ისევე როგორც 2015 წლის 13 ივნისს, თბილისს საშინელი სტიქია დასტყდომია თავს. მაშინაც ადიდებულა მდინარე ვერე, დაუტბორავს ზოოპარკი. ყველა ცხოველი დაიღუპა, გადარჩა მხოლოდ ბეჭემოთი. გათავაზობთ ამონარიდს ე. ყიფიანის უბის წიგნაკიდან:

"1960 წ. 4 ივლისი. ტრაგედია დატრიალდა დღეს თბილისში. დილის 9 საათზე მოვიდა დიდი წვიმა, ადიდებულა მდინარე ვერე და მოგლეჯილი ხეებითა და ლოდებით ამოუვსია ვარაზისხევის ქუჩის ქვეშ გაყვანილი გვირაბი, შეგუბებულა წყალი და ამოუხრჩვია ზოოპარკი! ... ყველა ლომი, ყველა ავაზა და ყველა ვეფხვი დაიხრჩო. წარმოვიდგინე, როგორ ებრძოდნენ წყალს, როგორ გაჰყვეს ნესტოები გალიის ჭერში, რკინებს შორის, ეს იყო მათი უკანასკნელი გაბრძოლება, მერე წყალმა გალიის ჭერიც დაფარა. ლომი წყლით დამხრჩვალა იმიტომ, რომ დატყვევებული იყო, და არწივიც დამხრჩვალა, იმიტომ, რომ დატყვევებული იყო! ... ალბათ, ყოველმა მხეცმა ინსტიქტით იგრძნო საშიშროება და დაიწყო ბრძოლა გალიებში, ისე თვალნათლივ ვიგრძენი ეს სურათი, რომმაჟრჟოლებს ხოლმე, როგორ მენანება, როგორ მეცოდება მხეცები, იმიტომ რომ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ. რა მოულოდნელი იყო ალბათ ეს წყლის შემოტევა მათთვის, მხოლოდ ბეჭემოტმა შესძლო რკინის ფანჯრის გამომტვრევა და გათავისუფლება. იმ საღამოს იგი უძრავად იწვა

საზაფხულო ვოლიერში და მძიმედ ქშინავდა ბრძოლაგადახდილი. როგორ მეცოდებთან ლომები, ვეფხვები და არწივი."

ამ ტექსტში სტიქია ომთან არის გაიგივებული, რაც ხატოვნად არის ექსპლიცი-რებული ისეთი ლექსიკური ერთეულებით, როგორიცაა „ებრძვის“, „დარტყმა“, „მსხვერპლი“, „დაღუპულები“, „უკანასკნელი გაბრძოლება“, „დატყვევება“, „უთანასწორო ბრძოლა“, „ბრძოლაში დაიღუპნენ“, „გათავისუფლება“, „ბრძოლა-გადახდილი“ და სხვ. საინტერესოა ასევე სათაურებად გამოტანილი სლოგანი – „თბილისი სტიქიას ებრძვის“, რომელიც ომის თემასთან დაკავშირებულ კოგნიტურ მეტაფორას ეფუძნება.

ასეთი გახლავთ ბუნებრივ კატასტოფათა მეტაფორიზაციის კოგნიტური ასპექტის ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები, რომლებიც მეტ-ნაკ-ლები სისრულით წარმოაჩინენ ამ მოვლენების ენობრივი გამოხატულების თავისე-ბურებებს ინგლისურენოვან და ქართულ საგაზეთო დისკურსში.

თავი III

ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორული ნომინაციის პრაგმატიკული დანიშნულება ინგლისურენოვან და ქართულ საგაზეთო დისკურსში

§ 1. კომუნიკაციური კომპეტენციისა და სტრატეგიის ცნებები თანამედროვე ლინგვისტიკაში

ლინგვისტური აზროვნების თანამედროვე ეტაპზე მკვლევართა ყურადღება კონცენტრირებულია ენის კომუნიკაციური ასპექტის კვლევაზე. ენისა და კომუნი-კაციის ურთიერთმიმართების კვლევის პროცესში შეიქმნა კომუნიკაციის ინტერ-აქციული მოდელი, რომლის მიხედვით, კომუნიკაციის წარმატებით განხორციელე-ბისათვის საკმარისი არ არის, რომ კომუნიკანტებს ჰქონდეთ საერთო ენობრივი კო-დი. აქ მიზნის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცოდნისა და უნარ-

ჩვევების ის ერთობლიობა, რომელიც მოიცავს კოდის ფლობას და განაპირობებს დისკურსში მონაწილეთა საკომუნიკაციო კომპეტენციას.

საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება ენათმეცნიერებაში შემოტანილ იქნა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ჩომსკის მიერ დამკვიდრებული ტერმინის „ლინგვისტური კომპეტენცია“ ანალოგიით და მასთან შინაარსობრივი კონტრასტის ხაზგასმის მიზნით. ამ ცნების მიღმა გულისხმობდნენ ყველაფერ იმას, რაც უნდა იცოდეს მოუბარმა კულტურულად ღირებულ ვითარებაში წარმატებული კომუნიკაციის განსახორციელებლად. ლინგვისტური კომპეტენციისგან განსხვავებით, აქ ყურადღების ცენტრში ექცევა ენის გამოყენების სოციალური ასპექტები.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან საკომუნიკაციო კომპეტენციის ამგვარმა გაგებამ არაერთი მოდიფიკაცია განიცადა. შეიქმნა ბევრი, უაღრესად საინტერესო მოდელი როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკის, ისე ზოგადი ლინგვისტიკის წიაღში. საკომუნიკაციო კომპეტენციის ერთ-ერთ კომპონენტად, გამოყენებითი ენათმეცნიერებაში, გამოიყო *სტრატეგიული კომპეტენციის ცნება*. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი გაგება კომუნიკაციის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთანაა დაკავშირებული. საკომუნიკაციო კომპეტენციის და სტრატეგიების ცნებებმა ბოლო წლების მანძილზე სერიოზული ევოლუცია განიცადა. თუ თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ მათი გააქტიურება ხდება მხოლოდ არასაკმარისი კომპეტენციის ან გარკვეული ფაქტორების გამო კომუნიკაციის ჩაშლის საფრთხის საკომპენსაციოდ, დღეს მათი ფუნქციის გაცილებით უფრო ფართო ინტერპრეტაციაა მიღებული.

საკომუნიკაციო კომპეტენციისა და სტრატეგიების განხილვისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება შევაჩეროთ ნ. ნიჟარაძის ნაშრომზე, რომელშიც ამ პრობლემებზე არსებული უახლესი ლინგვისტური ლიტერატურის კრიტიკული განზოგადების საფუძველზე შემუშავებულია, ჩვენი აზრით, ხსენებულ ცნებათა უაღრესად საინტერესო და ამომწურავი დეფინიცია (ნიჟარაძე 2010). ავტორი გაცნობილია თანამედროვე ლინგვისტურ კონცეფციებს, რომლებშიც კომუნიკაციური კომპეტენცია განიხილება როგორც ენობრივ კომპეტენციაზე დაფუძნებული მეტყველი სუ-

ბიექტის ინტუიციური ცოდნა, რომელიც საშუალებას აძლევს მას შექმნას და გაიგოს კონტექსტურად ურთიერთდაკავშირებული გამონათქვამები. ნიჟარაძეს კომუნიკაციური კომპეტენციის ცნებით შინაარსში „ცოდნასთან“ ერთად შემოაქვს, ერთი მხრივ, ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორი, როგორც არის „უნარი“; მეორე მხრივ, დეფინიციაში რთავს სოციუმის და სემიოტიკური სისტემის ცნებებს. შედეგად იგი გვთავაზობს ამ ცნების საკუთარ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც **კომუნიკაციური კომპეტენცია** განიხილება როგორც „ენობრივი სუბიექტის ცოდნა და უნარი, რომელიც მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს მისთვის, როგორც კონკრეტული სოციუმის წევრისათვის, ხელმისაწვდომი ყველა სემიოტიკური სისტემა (ნიჟარაძე 2010: 23).“

ავტორი ცალკე გამოყოფს სტრატეგიული კომპეტენციის ცნებას და აქაც გვთავაზობს საკუთარ ინტერპრეტაციას, რომლის შესაბამისადაც **კომუნიკაციური სტრატეგია** განისაზღვრება როგორც „მეტყველი სუბიექტის უნარი, საკუთარი რეპერტუარიდან შეარჩიოს ის ენობრივი საშუალებები – იქნება ეს ლექსიკური, სინტაქსურ-სტრუქტურული თუ სტილისტური – რომელთა ერთობლიობაც ოპტიმალურად უზრუნველყოფს მისი კომუნიკაციური ინტენციის წარმატებით განხორციელებას“ (ნიჟარაძე 2010: 23).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგაზეთო დისკურსში ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორული ნომინაცია ავტორისეული კომუნიკაციური კომპეტენციის და სტრატეგიის გამოვლინებად მიგვაჩნია, რომელსაც გარკვეული სოციო-პრაგმატიკული ფუნქციური დანიშნულება აქვს. სწორედ მათ გამოვლენას ეძღვნება ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მესამე – დასკვნითი თავი.

§2. ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორული ნომინაცია, როგორც ეფექტური იდეოლოგიური იარაღი, და მისი პრაგმატიკული დანიშნულება:

სტანფორდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორის ტომსონის მიხედვით¹, საგაზეთო დისკურსი ქმნის ისეთ იდეოლოგიურ საშუალებებს, როგორცაა ლეგიტიმაცია, სიმულაცია, უნიფიკაცია (გაერთიანება), ფრაგმენტაცია და რეიფიკაცია. თითოეული მათგანის არსი მდგომარეობს შემდეგში:

- ლეგიტიმაცია არის ასიმეტრიულ ძალთა კავშირის სამართლიანი და ღირსეული მხარდაჭერა;
- სიმულაცია ნიღბავს და უარყოფს მმართველობის წესებს, ყურადღება გადააქვს არსებული ასიმეტრიებიდან სხვა მოვლენებზე. ამგვარი იდეოლოგია შესაძლოა განხორციელდეს ფიგურალური ენით;
- უნიფიკაციის მეთოდი ცალკეულ პირებს მოიაზრებს ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად და უარყოფს ნებისმიერ განსხვავებას, რაც შესაძლოა არსებობდეს მათ შორის;
- ფრაგმენტაცია გულისხმობს იმ ადამიანის მტრად წარმოჩენას, რომელიც ქმნის საფრთხეს. უნიფიკაციის და ფრაგმენტაციის პროცესები ქმნიან ვან დეიკის ტერმინოლოგიით იდეოლოგიურ წესრიგს, რომელიც გვთავაზობს ადამიანების პოზიტიურ რეპრეზენტაციას, უკანა პლანზე გადააქვს მათი უარყოფითი მახასიათებლები და ქმედებები. ანალოგიურად, ბუნების უარყოფითი რეპრეზენტაციით, უკანა პლანზე გადადის მისი დადებითი თვისებები და მახასიათებლები;
- იდეოლოგიის მოქმედების მეხუთე მეთოდი არის რეიფიკაცია, რაც გვთავაზობს დისკურსის ბუნებრივ რეპრეზენტაციას, კონკრეტულ ვითარებას ასახავს ბუნებრივად და უბრალოდ. იგი მოკლებულია სოციალურ და ისტორიულ ხასიათს.

გაზეთების ძირითადი იდეოლოგია ბუნებრივი კატაკლიზმების დახასიათებისას ემსახურება მათი უარყოფითი, ხოლო საზოგადოების დადებითი კუთხით წარმოჩენას. სტატეებში ხშირად არის ჩართული მსხვერპლებისა და მოწმეების პოზი-

¹ ტომსონის ანალიზი ხდება ვან დეიკის ნაშრომზე დაყრდნობით. იხ.: **van Dijk T.**, News, Discourse and Ideology. // Wahl-Jorgensen K. and Hanitzsch Th.(Eds), The Handbook of Journalism Studies. New York-London: Routledge, 2009. Retrieved from: <http://sites.psu.edu/com409vicaro/wp-content/uploads/sites/9235/2014/01/News-Discourse-Ideology.pdf>

ტიური დახასიათებაც, რაც, შეიძლება ითქვას, ასევე გაზეთების იდეოლოგიური მიზანია.

1. “His father said Mr. Lewis is tough-minded and has a strong spirit” (*The Globe and Mail*, 27 Dec 2004).
2. “Luck and the courage of local people and fellow tourists was credited with preventing hundreds of other fatalities among the throngs of holiday-makers” (*The Guardian*, 29 Dec 2004).

ა) პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დამალვა-შენიღბვა

საგაზეთო დისკურსში მეტაფორის ძირითადი ფუნქციური დანიშნულება მდგომარეობს იდეოლოგიური სამუშაოს შესრულებაში. მეტაფორა მსჯელობის საგნის, ჩვენს შემთხვევაში, ბუნებრივი კატასტროფის მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს ანიჭებს მნიშვნელობას, ხოლო დანარჩენს ნიღბავს. ყოველივე ეს გამოწვეულია რეალობის არაობიექტური აღქმით. მიუხედავად იმისა, რომ ცუნამი და ქარიშხალი ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენებია, გაზეთები გვიხატავს მათ საშინელ, არანორმალურ, საზარელ, გაშმაგებულ და მძვინვარე ქმნილებებად, რომელთა მიზანიც ხალხისთვის ზიანის მიყენება და მათზე თავდასხმაა.

კატასტროფების ამგვარი დახასიათება ზარალზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას აკისრებს ბუნებრივ მოვლენას, აბრკოლებს მოვლენის ანალიტიკურად წარმოჩენას და ნიღბავს იმ ფაქტს, რომ სოციალურმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმაც ხელი შეუწყო კატასტროფას ან გაზარდა მისი დამანგრეველი შედეგები. ბუნებრივი მოვლენა დახასიათებულია როგორც რაღაც უკონტროლო და ისეთი რამ, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელია. ყოველივე ამის შედეგად იქმნება მცდარი ინტერპრეტაციები მის შესახებ. მთავრობა, ოფიციალური პირები და ხალხი გაურბის რაიმე პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ თავზე. *ბუნებრივი კატასტროფების ამგვარი წარმოდგენა ნიღბავს იმ ფაქტს, რომ ამ მოვლენებით გამოწვეული ზარალის წილი, გარკვეული დოზით, ადამიანების მოუმზადებლობით და უყურადღებობით არის*

გამოწვეული. ინდოეთის ოკეანეში ცუნამის კატასტროფით გამოწვეული ზიანი მხოლოდ ბუნებრივი მოვლენით არ იყო განპირობებული, არამედ ადამიანის ქმედებებითაც, რადგანაც მათ გაანადგურეს ბუნებრივი დამცავი ზონები. გარდა ამისა, სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პირობებმა განაპირობა ცუნამისადმი ხალხის მტკივნეული მიდგომა, რომელიც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეეხო, განსაკუთრებით მათ, ვინც ბარაკებსა და არამკვიდრ სახლებში ცხოვრობს (Niman, 2010).

ბუნებრივი კატასტროფების კვლევებმა გამოავლინეს, რომ განადგურების და აზიანების პასუხისმგებლობას, როგორც წესი, მიაწერენ ადგილობრივ და ფედერალურ მთავრობებს იმის გამო. რომ უყურადღებოდ დატოვეს გაფრთხილებები და დროზე არ მიიღეს ზომები გასამაგრებელი სამუშაოების ან ხალხის ევაკუაციის განსახორციელებლად. ამის ადასტურებს, თუნდაც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები:

"Indian Ocean Tsunami. Why did the Information Not Get Out?"²

According to [Columbia University's Earth Institute](http://www.columbia.edu/~ce1002/earth/sumatra.html) the M-9.0 Sumatra – Andaman Island earthquake on December 26th released energy, equivalent roughly to 700 million Hiroshima bombs. Seismic information was available in near real time (i.e. almost immediately) to seismic centers around the World. Other types of data, including satellite imagery were also available in near real time. The advanced global seismic information and communications systems were fully operational.

Why then, did the information not get out on the morning of December 26th?

Ten of thousands of lives could have been saved!

The issue has been skirted by the Western media, sidestepped by the governments and the UN, not to mention the international scientific community.

The blame was casually placed on the Indian Ocean countries, described as having “inadequate communications systems”, not to mention the local people who

² <http://www.globalresearch.ca/indian-ocean-tsunami-why-did-the-information-not-get-out/207>

“have to be trained to know what to do...If the people don't respond, don't understand what the communication is all about, it is for naught.”

ჩვენს მიერ ინტერნეტით მოპოვებულ ამ მასალაში მსჯელობა მიდის იმ დიდ უპასუხისმგებლობაზე, რაც სპეციალურ სამსახურებს აკისრიათ მოსალოდნელი ბუნებრივი კატასტროფის შესახებ მოსახლეობის დროულად გაფრთხილებასთან დაკავშირებით. თუმცა უპასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მათშიც ადგილობრივ ხელისუფლებაზეა მხოლოდ გადატანილი. თითქმის ანალოგიურია მეორე მაგალითიც:

“The Committee on Homeland Security observed that government officials failed to heed disaster warnings, made poor decisions before and after the hurricane hit, failed to provide effective leadership, and failed to develop the capacity to respond to catastrophic events (Greene 2009: 208).”

ცუნამის მსგავსად, ქარიშხლით ყველაზე მეტად დაზარალებულნი ღარიბი და შავკანიანი ადამიანები, რომლებსაც არ ჰქონდათ საშუალება, სადმე გაქცეულიყვნენ და თავი შეეფარებინათ. გაზეთების მიერ გამოყენებული ბუნებრივი კატასტროფების აღწერაში ყველა ეს ფაქტორი უჩინარია. ამიტომაც, მეტაფორის გამოყენების იდეოლოგიური ასპექტი საკმაოდ ხშირად გულისხმობს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური პირობების დამალვა-შენიღბვას.

ქართულ მედიასივრცეშიც გამუდმებით მიდის მსჯელობა მთავრობის უპასუხისმგებლობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ გამოიჩინეს სათანადო ყურადღება, არ გააცნობიერეს ჩამოწოლილი მეწყერით შექნილი მოსალოდნელი კატასტროფა და მოსახლეობა არ გააფრთხილეს ამ საფრთხის შესახებ მიუხედავად იმისა, რომ მათ რამდენიმე საათის წინ ჰქონდათ ინფორმაცია ამის შესახებ.

გეოლოგების წინასწარი დასკვნის მიხედვით, 13-14 ივნისის ტრაგედია ვერეს ხეობაში, თბილისიდან 9 კილომეტრით მოშორებულ, სოფელ ახალდაბიდან დაიწყო. აქ ღამით, რამდენიმე ადგილზე, მეწყერი ჩამოწვა და საავტომობილო გზასთან ერთად, მდინარე ვერეც გადაკეტა.

სპეციალისტების თქმით, ტრაგედიის თავიდან აცილება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა: როგორც კი ვერის წყალმა ახალდაბასთან დაგროვება დაიწყო, თბილისში, ვერის ხეობაში მოსახლეობის ევაკუაცია უნდა მომხდარიყო. რატომ ვერ მოხერხდა ან საერთოდ შესაძლებელი იყო თუ არა ამ დროში ასეთი სამაშველო ოპერაციის განხორციელება?! ამ კითხვებზე პასუხები ჯერ არ არსებობს.

(http://www.ambebi.ge/15_06_2015)

ლექსიკური და სინტაქსური საშუალებები მუდმივად იყენებს სამ მეტაფორულ თემას. საგაზეთო დისკურსი ბუნებრივი მოვლენების შესახებ შექმნილ სურათს ბუნებრივ ელფერ სძენს. მეტაფორები ქმნის ბუნებრივი მოვლენების ცოცხალ და დაუვიწყარ სურათს. უფრო მეტიც, ადამიანთა უმეტესობისთვის მედია არის ერთადერთი საინფორმაციო საშუალება ბუნებრივი კატასტროფების შესახებ. ადამიანები ხშირად ემადლიერებიან მას, რადგან გაზეთების წყალობით ისინი არ იმყოფებიან ინფორმაციულ ვაკუუმში. მეტაფორა ეფექტურია იმით, რომ ბუნებრივ ელფერს სძენს შექმნილ სურათს და ადამიანთათვის გაცილებით მარტივად აღსაქმელს ხდის.

იდეოლოგიაზე საუბრისას საგულისხმო იქნება იმის გარკვევა, თუ როგორ განიხილავს საგაზეთო დისკურსი გამძაფრებულ სიტუაციას დასავლური განმანათლებლობის იდეოლოგიასა და ბუნებრივ მოვლენებს შორის. დასავლური განმანათლებლობის იდეოლოგიის მიხედვით, ადამიანი თავად ბატონობს ბუნებაზე, რადგან კულტურას მიიჩნევს ადამიანის მიერ შექმნილ და განვითარებულ ფენომენად. უპირატესობას ანიჭებს მეცნიერებასა და ხელოვნებას. მეორე მხრივ, ნათლად ჩანს, რომ ბუნებრივი მოვლენების, კერძოდ, ქარიშხლისა და ცუნამის კონტროლირება ადამიანს არ ძალუძს. როგორც უკვე აღინიშნა, გაზეთები ბუნებრივი მოვლენის საშინელ სურათს გვიხატავენ, რითაც მათ აკისრებენ მთელ პასუხისმგებლობას უბედურებებზე. ეს შესაძლოა მიუთითებდეს ადამიანის, მეცნიერებისა და ტექნიკის წარუმატებლობაზე. ამავდროულად, გვიჩვენებს მკაფიო განსხვავებას ბუნებასა და კულტურას შორის, რომელიც დაფუძნებულია ჩვეულებრივ იდეოლოგიურ დიქოტომიაზე: „ჩვენ – მათ წინააღმდეგ“, და რომელსაც „იდეოლოგიურ სიმართლეს“ უწოდებენ (van

Dijk 1996). შესაბამისად, საგაზეთო სტატიებში ლექსემაში – “WE” (*ჩვენ*) – იგულისხმება საზოგადოება/ ხალხი, მაშინ როდესაც ლექსემაში – “THEY” (*ისინი*) – უკვე ბუნებრივი კატასტროფული მოვლენები მოიაზრება.

საგაზეთო მეტაფორულ კონცეპტუალურ საშუალებებში იგულისხმება საკუთარი თავის (ადამიანის) დადებითი და სხვა ფენომენის (ბუნებრივი მოვლენის) ნეგატიური კუთხით წარმოჩენა. ქარიშხალი და ცუნამი ხასიათდება გარე ძალებად, რომელთა უარყოფითი მახასიათებლები და ქმედებები ხაზგასმულია, ხოლო დადებითი არა. განსხვავებით ბუნებრივი მოვლენებისგან, ადამიანები მოიაზრებიან საზოგადოების წევრებად, რომელთა დადებითი მახასიათებლები და სოციალური აქტივობები წინა პლანზეა წამოწეული, ხოლო უარყოფითი მახასიათებლები და ქმედებები საერთოდ არ არის განხილული. მეტაფორული ფრაზები ბუნებას ადამიანის მტრად წარმოაჩენს, რაც ართულებს ბუნებისა და ადამიანის თანაარსებობას.

მკვლევართა აზრით, საზოგადოებაში შიშის გავრცელება ხელს უწყობს გარკვეული ტიპის სპეციფიკური სოციალური პოლიტიკის შექმნას, რომელიც აძლიერებს სახელმწიფოს კონტროლს და ზედამხედველობას. პოლიციას და არმიას ეკისრება ხალხის დახმარება და უზრუნველყოფა, უსაფრთხო გარემოს შექმნა, სიტუაციის გაკონტროლება და წესრიგის დამყარება (Altheide and Michalowski 1990: 495). საილუსტრაციოდ გთავაზობთ ამონარიდს გასული წლის ახალი ამბების ქრონიკიდან:

"მარჯვენა სანაპიროზე ჩარჩენილი ხალხის ევაკუაცია ექსტრემალურ პირობებში ჩატარდა. სამაშველო სამსახურები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ. ცხელ წერტილებში იმყოფებოდნენ პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი, ვიცეპრემიერი კალაძე, თბილისის მერი ნარმანია. შეიქმნა საგანგებო შტაბი, ჩატარდა უსაფრთხოების საბჭოს სხდომა. პრემიერის განცხადებით, ზარალმა მილიონობით ლარი შეადგინა." (<http://www.ambebi.ge/15/06/2015>)

ბ) მოვლენების დრამატიზება მკითხველთა ემოციებზე

ზემოქმედების მიზნით

მეტაფორის მეორე მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას წარადგენს სიტუაციის დრამატიზება მკითხველთა ემოციებზე ზემოქმედება მიზნით. წყარო კონცეპტიდან სამიზნე კონცეპტში კონოტაციების და ასოციაციების გადატანით, მეტაფორა მეტწილად ემოციურ ფონს უფრო ქმნის, ვიდრე მიზეზ-შედეგობრივს კავშირებს. ბუნებრივი მოვლენების მეტაფორიზაციის ანიმაციის თემა, ისევე როგორც მონსტრისა და ომის მეტაფორულ თემებში ჰიპერბოლის გამოყენება ამძაფრებს სიტუაციას და მკითხველებში ნეგატიურ ემოციებს, უმეტესწილად შიშს იწვევს. ეს ყველაფერი კი ადამიანებს ხელს უშლის რაციონალური ქმედებების განხორციელებაში: “They blind people to important shades of gray in situations and problem solving discussions” (Radford 2003: 313). მიუხედავად ამისა, მოვლენების მეტაფორული წარმოდგენა მიიჩნევა მნიშვნელოვან, სანდო საშუალებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გონივრული გადაწყვეტილებების გარეშე მკითხველები ავტომატურად ღებულობენ ბუნებრივ კატასტროფებზე შექმნილ იმ სურათს, რასაც გაზეთები სთავაზობენ, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ხალხის შიშს და ამძიმებს მათ მდგომარეობას, შესაბამისად მათ უჩნდებათ დაცულობის და უსაფრთხოების გაძლიერებული სურვილი.

გაზეთების ყურადღებას ადამიანური ემოციები უფრო იპყრობს, ვიდრე მიზეზი, რაც რეალურად მოვლენების დრამატიზებას უწყობს ხელს. *ბუნებრივი მოვლენების დემონიზებული აღწერა, მითიური თემების გამოყენება და მსხვერპლთა ემოციური ისტორიები ხელს უწყობს მოვლენების დრამატიზებას და საინტერესოს ხდის საგაზეთო დისკურსის ხარისხს.*

დრამატიზების ყველაზე მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ სტრატეგიად **კონტრასტი გვევლინება**. ინდოეთის ოკეანის ცუნამის შესახებ მოხსენებების უმეტესობა აგებულია კონტრასტზე პოზიტიურსა და ნეგატიურს შორის. მაგალითად, ქარიშხლამდე და ქარიშხლის შემდეგ. სიტუაციის ამგვარი დახასიათება კიდევ უფრო ამძაფრებს შიშის გრძნობას და ხელს უწყობს მოვლენების დრამატიზებას.

"For years, the Phuket airport had been the gateway to paradise. But last night, it was inhabited only by the dead, the injured, the terrified and the exhausted (*The Globe and Mail, 29 Dec 2004*)."

მოცემული მაგალითიდან ჩანს, როგორ ჰარმონიულად ცხოვრობდნენ ადამიანები ბუნებრივ კატასტროფამდე და როგორ დაიმსხვრა მათი ცხოვრება კატასტროფის შემდეგ. გაზეთები ხშირად კატასტროფამდე არსებულ მდგომარეობას აღწერენ როგორც იდეალურს და უპრობლემოს, როგორც ეს მომდევნო მაგალითებში ჩანს:

“It was a tranquil Sunday morning (The Globe and Mail, 1 Jan 2005).”

“It had been a pleasant, sunny Sunday morning (The New York Times, 27 Dec 2004).”

“It was a languorous Christmas afternoon (New York Times, 31 Dec 2004).”

ქართულ საგაზეთო დისკურსშიც ხშირია კონტრასტის გამოყენება ბუნებრივი სტიქიების და მათი გამანადგურებელი შედეგების უფრო მეტი სიმძაფრით წარმოსაჩენად. გთავაზობთ ერთ ამგვარ ჩანაწერს *კვირის პალიტრის* ვებსაიტიდან, რომელშიც სათაურად არის გამოტანილი თბილისური ყოფა 13 ივნისის ტრაგედიამდე და მის შემდეგ:

"ცხოვრება 13 ივნისამდე და 13 ივნისის შემდეგ"

რა იყო 13 ივნისამდე? დილას იღვიძებ, მიდიხარ სამსახურში, ლექციაზე, სკოლაში, სასეირნოდ, სამუშაოდ, მეზობელთან, მეგობართან, შეყვარებულთან. მაგრამ უცებ რაღაც ხდება. ეს შენ არ გეხება, არც შენ ოჯახს, არც შენს მეგობარს, არც შენს შეყვარებულს, არც შენს სამსახურს, მაგრამ შენ აღარ შეგიძლია სადმე წასვლა და რამის გაკეთება, ფიზიკურად, რა თქმა უნდა, შეგიძლია, მაგრამ ვერ აკეთებ..."

ემპირიული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ორივე ენაზე გაზეთების ზოგადი ტენდენციაა კონტრასტის გამოყენება დადებითსა და უარყოფითს შორის. ამ დაპირისპირებას ცუდსა და კარგს შორის კიდევ უფრო აძლიერებს კავშირის – „მაგრამ“ (but) – გამოყენება, რომლის საშუალებითაც წინადადებაში შემოდის უკვე დაფიქსირებული აზრის საპირისპირო, კონტრასტული მსჯელობა (იხ. ზემომოყვანილი ქარ-

³ <http://www.kvirispalitra.ge/young-people/25540-ckhovreba-13-ivnizamde-da-13-ivnisis-shemdeg.html>

თული მაგალითი). თვალსაჩინოებისათვის გათვალისწინებული ინგლისურ ტექსტს, რომელშიც სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია ამგვარი კონტრასტით არის გადმოცემული:

"Things are improving. The backlog is starting to clear,' said Michael Elmquist, chief of the United Nation's Office for the Co-ordination of Humanitarian Affairs in Indonesia, **'but international aid workers still have before them a set of staggering tasks'** (The Globe and Mail, 3 Jan 2005)."

ურთულესი პრობლემების არსებობა აშკარად უპირისპირდება სიტუაციის გაუმჯობესების საკითხს. ყოველივე ეს მკითხველში იწვევს დარწმუნების, შიშის ან გაურკვევლობის ალტერნატიულ შეგრძნებებს. ამგვარი სტრატეგია მკითხველზე საგა-ზეთო დისკურსის გავლენას ზრდის. ეს გავლენა განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როდესაც ხალხში ჩნდება შიშის, საფრთხის, შემფოთების და გაურკვევლობის გრძნობები. ამ გრძნობების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები ეძებენ სანდო ინფორმაციას.

დრამატიზაციის მიღწევის კიდევ ერთი ეფექტური საშუალებაა **ციფრების მრავალჯერადი გამოყენება**. მოხსენებებში კატასტროფის შესახებ საგაზეთო დისკურსი საკმაოდ ხშირად იყენებს რიცხვებს, რაც აშკარად უწყობს ხელს მოვლენების დრამატიზებას და ზეგავლენას ახდენს ადამიანის ემოციებზე. ამძაფრებს მათში შიშის და საფრთხის გრძნობებს. ხელს უწყობს ემოციური ფონის კიდევ უფრო გაძლიერებას.

"Indonesia's geophysics and meteorology office put the epicenter of the earthquake at 90 miles off the southern coast of the island and said the earthquake measured 6.8 on the open-ended Richter scale. Residents said waves as high as 15 feet struck the northern coast, killing at least nine, causing widespread damage and sending thousands fleeing in panic away. "

(The New York Times, 26 Dec 2004).

„წყალმა მთლიანად დატბორა ზოოპარკის ტერიტორია, რამაც ცხო-ველების გაქცევა გამოიწვია. თბილისის ქუჩებში 5 ლომი, 6

ვეფხვი, 6 დათვი და 13 მგელი აღმოჩნდა, კამერებმა გმირთა მოედანზე ბეჭემოთი დააფიქსირეს. შს მინისტრის განცხადებით, საპატრულო პოლიცია იძულებული გახდა, რამდენიმე მტაცებელი ცეცხლსასროლი იარაღით მოეკლა, ცხოველების უმრავლესობის წინააღმდეგ დასაძინებელი სპე-ციალური საშუალებები გამოიყენეს. არსებული ინფორმაციით, მოკლულ-ია ვეფხვი, ლომი და აფთარი“.

(<http://www.ambebi.ge/15/06/2015>)

აშკარაა, რომ რიცხვების გამოყენების მიზანია ობიექტურობის ხაზგასმა და, აქედან გამომდინარე, ალბათობის შემცირება. რიცხვების საშუალებით, ფაქტები უპირისპირდება ადამიანებში გავრცელებულ მოსაზრებებს და მოვლენების სუბიექტურ აღქმას. გარდა ამ ფუნქციებისა, ციფრების ამგვარი გამოყენება ხელს უწყობს მოვლენების დრამატიზებას. გაზეთები რიცხვებს იყენებს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში კატასტროფის შედეგად დაკარგულების, გარდაცვლილების და დაშავებულების რაოდენობის მისათითებლად. ეს რიცხვები სტატიიდან სტატიამდე იცვლება, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მოვლენების დრამატიზებას.

“Tsunami Death Toll Rises to 23,700 (headline in *The Guardian*, 27 Dec 2004).”

“Tsunami Death Toll Reaches 100,000(headline in *The Guardian*, 30 Dec 2004).”

"სტიქიის შედეგად მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა დაახლოებით 50 მილიონი ლარი შეადგინა. სტიქიურ უბედურებას შეეწირა 19 ადამიანი, დაკარგულია 6 ადამიანი, 200-ზე მეტი უსახლკაროდაა დარჩენილი. დაღუპულებს შორის არის ზოოპარკის სამი თანამშრომელი და მამველები .https://ka.wikipedia.org/wiki/თბილისის_წყალდიდობა_/2015"

განსხვავებული ციფრებია უკვე მოცემული მერიის ანგარიშში, რომელიც მოგვიანებით გაკეთდა 13-14 ივნისის სტიქიის ყველა ასპექტის გათვალისწინებით:

„მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი 100 მილიონ ლარზე მეტია, - ამის შესახებ ინფორმაცია თბილისის მერიის მიერ მომზადებულ ანგარიშშია მოცემული.“

„ანგარიშის თანახმად, სტიქიას 20 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 2 დაკარგულად გამოცხადდა. დაზარალდა 800-ზე მეტი ფიზიკური პირი, ამასთან, დაზარალებული 194 ოჯახის 14% სოციალურ დახმარებას იღებდა.“

„სტიქიამ დააზიანა 157 ავტომობილი, რომელთაგან დაზღვეული მხოლოდ 8 იყო. ანგარიშის თანახმად, 157-დან 40 მფლობელის ერთადერთი საარსებო წყარო იყო, 10 კი მფლობელს საბანკო სესხით ჰქონდა წყიდი.“

„დოკუმენტის თანახმად, სტიქიის შედეგად, 20-ზე მეტი ქუჩა დაზიანდა, სტიქიის შედეგების აღმოფხვრის სამუშაოებში კი 10 000-მა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა.“

<http://liberali.ge/news/view/18704/angarishi-msoflio-bankis-monatsemebit-13-ivnisis-stiqiis-zarali-100-mln-larze-metia>

ბელის აზრით (Bell 1991: 203), ციფრების მეთოდი აძლიერებს მიზანს, სიახლეების ემპირიულ მოთხოვნას, თუმცა ხელოვნურად ანადგურებს ძირითად პრინციპს. მათი გამოყენება ემსახურება **ახალი ამბების ღირებულების ზრდას**. სტატეები მნიშვნელოვანწილად მრგვალ ციფრებს იყენებენ. ციფრებს ხშირად თან ახლავს ისეთი გამოთქმები, როგორცაა: „უფრო მეტი“, „სულ მცირე“ და „დაახლოებით“. თუმცა გაზეთებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მოდიფიკაციის გარეშე გამოიყენება მხოლოდ მრგვალი ციფრები. გაზეთები მრგვალ ციფრებს უმეტესწილად იმ მოტივით იყენებენ, რომ ისინი გაცილებით მკაფიო და ადვილი დასამახსოვრებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საგაზეთო დისკურსში ფაქტების გამყარება ციფრებით ქმნის ობიექტურობის ილუზიას, რაც დრამატულ ძალას მატებს საინფორმაციო შეტყობინებებს.

მოვლენების დრამატიზება და მკითხველებისთვის ემოციური ფონის შექმნა კიდევ უფრო გამაფრებელია **ნარატივებით მსხვერპლთა ისტორიების შესახებ**. მსხვერპლები იმყოფებიან საშინელ გარემო პირობებში. ბევრ მათგანს სახლში ყავს ინვალიდი ბავშვი, ბევრს ქმარი, რომელსაც კიბო აქვს. მოხუცი ქალი, ასთმით დაავადებული კაცი და ა.შ.

“Danielle Shelby tugged at a reporter's arm. ‘I have a **handicapped daughter**,’ she said. ‘She's over there with her wheelchair. She's hot. We don't have any water. I'm afraid she's going to have a seizure.’”

“Others crowded around. ‘I've been in the food line twice, and every time I get to the front they tell me they don't have any left,’ said Juanita McFerrin, 80.”

“My husband **has cancer**,’ another woman said. ‘He's not getting his regular treatment.’”

“Frank L. Jones, 54, said he had gone four days without **his asthma medicine**. Lione Valentine, 53, who **breathes with the help of an oxygen machine**, wanted to know if his family would be split up again as they were moved from the Superdome (*The New York Times, 1 Sep 2005*).”

მსხვერპლთა მიერ მოყოლილი ისტორიები ხელს უწყობს მოვლენების დრამატიზებას და ზემოქმედებს მკითხველთა ემოციებზე. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვიძიეთ ანალოგიური მასალა სტიქიით დაზარალებულების მონათხრობების შესახებ ქართულ on-line გაზეთებიდან, თუმცა იმ დღეების სატელევიზიო სივრცე სავსე იყო ამ შინაარსის უამრავი გადაცემით.

დრამატიზებული ეფექტი ასევე იქმნება ბუნებრივი კატასტროფების დახასიათებით ზედსართავი სახელების გამოყენებით აღმატებით ხარისხში, რითაც კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ამ მოვლენების მასშტაბურობას სხვა ბუნებრივ სტიქიებთან მიმართებაში გარკვეულ დროის მონაკვეთში. გაზეთებში ინდოეთის ოკეანი ცუნამი და ქარიშხალი კატრინა მოიხსენიება როგორც: “*the fourth most powerful earthquake in 100 years, earthquake*”, “*the biggest earthquake in 40 years*”, “*the deadliest known tsunami*”

for more than 200 years”, “one of the worst natural disasters in recorded history,” etc. გაზეთების მიერ ზედსართავების გამოყენება აღმატებით ხარისხში ერთდროულად იძლევა ფაქტობრივ ინფორმაციას და ამავდროულად ახდენს მოვლენების დრამატიზირებას.

გ) მთავრობის და პოლიტიკური ოპონენტების ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენა

ორივე ენის ემპირიული მასალის კვლევამ გვიჩვენა, რომ ბუნებრივ კატასტროფათა მეტაფორიზაცია საგაზეთო დისკურსში მიზნად ისახავს არა მარტო მოვლენების დრამატიზაციას და ექსპრესიულ-ემოციურ ხატოვან ფერებში წარმოჩენას, არამედ მას დიდი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. სტიქიის შედეგად დაზარალებული და ტრამვირებული ხალხის ყოფით და დანგრეული ინფრასტრუქტურით მანიპულირება ეფექტური იდეოლოგიური იარაღია მთავრობის ნაკლოვანებების წარმოსაჩენად და პოლიტიკური ოპონენტებზე იერიშის მისატანად. ბუნებრივია, რომ ჟურნალისტები ამ საშუალებას არცერთ ქვეყანაში არ უშვებენ ხელიდან.

2015 წლის 13-14 ივნისის თბილისის ტრაგედიაში, რომელიც სოფელ ახალდაბასთან მეწყერის ჩამოწოლამ და მდინარე ვერეს ხეობის ჩაკეტვის შედეგად წარმოქმნილმა ღვარცოფმა გამოიწვია, პოლიტიკოსებს კარგი შესაძლებლობა მისცა ერთმანეთისთვის გადაებრალებინათ ის მძიმე შედეგები, რაც ამ სტიქიას მოჰყვა. მთავრობა პასუხის-მგებლობას მთლიანად აკისრებდა წინა მთავრობას, რომლის დროსაც აშენდა ახალი ტრასა მდინარე ვერეს გასწვრივ; ოპოზიციაში წასული ნაციონალური პარტიის წევრები კი მთავრობას სდებდნენ ბრალს უნიათობასა და უმოქმედებაში, რომ მათ დროულად არ განახორციელეს მოქალაქეთა ევაკუაცია სვანაძის ქუჩიდან და ახალი ტრასიდან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ადამიანთა მსხვერპლს. თავდაპირველად, საილუსტრაციოდ მოგვყავს ამონარიდები online ნიუსებიდან, რომლებშიც სახელწიფო მოხელეები წინა მთავრობას სდებენ ბრალს 13 ივნისის ტრაგედიის მძიმე შედეგებში:

13 ივნისის წყალდიდობა: ქრონიკა და შედეგები

გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი ამბობს, რომ მდინარე ვერეს ხეობაში ახალი ესტაკადის მშენებლობა და მდინარის გოფრირებული მილებში ჩაკეტვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე მოხდა.

„ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი ამ ტრაგედიისა, მაინც არის ის, რომ ვერეს ხეობას არ აღმოაჩნდა გამტარუნარიანობა და არ იყო მზად ასეთი პროცესებისთვის, მას შემდეგ რაც მდინარე არტახებში მოექცა. მე მახსოვს, რომ ამ თემებზე იყო მწვავე დისკუსია, მშენებლობამდეც და მშენებლობის დროსაც. ნიშანდობლივია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ამ ესტაკატას საერთოდ არ ჰქონდა. კანონმდებლობა იმ დროს ასეთ შეფასებას აღარ ითხოვდა და ამით ისარგებლეს პროექტის ავტორებმაც და მაშინდელმა ხელისუფლებამაც. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს მივიღეთ ეს შედეგი.“

მას შემდეგ, რაც ცოტა დაწყნარდება ვნებები, ჩვენ გვმართებს, რომ დავსვათ კითხვები და მოვძებნოთ პასუხები, რადგან ასეთი შეცდომები ძალიან ძვირი გვიჯდება.“ (<http://www.ambebi.ge> 15 06 2015)

რა მოხდა 13 ივნისს?! - „არაზუსტი გადაწყვეტილების მიღებას შთამომავლობა არ გვაპატიებს“

„გარემოს დაცვის სამინისტროს გეოლოგიური დეპარტამენტის უფროსის, მერაბ გაფრინდაშვილის თქმით: ‘დიდი შეცდომა იქნა დაშვებულ შეცდომები შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ, მაშინ, როცა უშუალოდ კალაპოტისპირა დაბალ ტერიტორიებზე დაიწყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები დაპროექტება და მშენებლობა...’“

(http://www.newspress.ge/staties_id/2203)

გაზეთებში მაშინვე გამოჩნდა საწინააღმდეგო შინაარსის სტატიები, რომლებშიც უკვე ახლანდელ მთავრობას ედება ბრალი უუნარობასა და უმოქმედებაში:

"13 ივნისის სტიქია - კუდიანი ქარი

„ყველა ვთანხმდებით, რომ სტიქიის თავიდან აცილება შეუძლებელია! მაგრამ, ასევე ყველა ვთანხმდებით, რომ მსხვერპლისა და ზარალის მინიმიზაცია სრულიად რეალურია ასეთი მასშტაბისა და ხასიათის სტიქიის დროს. საინტერესოა, შეეძლო თუ არა ხელისუფლებას, მსხვერპლის თავი-დან აცილება ან ტრაგედიის მასშტაბების შემცირება?! იმოქმედეს თუ არა დროულად და ეფექტურად სახელმწიფო უწყებებმა?! თუ მოკლედ შევა-ფასებთ მთლიანად მთავრობის და არა რომელიმე ცალკე აღებული სტრუქტურის მუშაობას, **13 ივნისს სახელმწიფო უუნაროდ და უმწეოდ გამოიყურებოდა...**“

(<http://rubrica.ge/transporti/13-ivnisis-stiqia---kudiani-qari-nawili-pirveli/>)

ბუნებრივია, მაშინვე ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი უუნარობა მხოლოდ ჩენი მთავრობისთვის არის დამახასიათებელი თუ სხვა სახელმწიფოებშიც ანალოგიური სიტუაცია იქმნება ბუნებრივი კატასტროფების დროს. ინტერნეტით მოძიებული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული მასმედია გაცილებით მკაცრია თავისი სახელმწიფოს მიმართ. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ამონარიდს NewYork Times-ის სარედაქციო წერილიდან:

"Political storm

The rescue and recovery efforts following Katrina became highly politicized, with federal, state and local officials pointing fingers at one another. Critics blamed a slow state and local response following the disaster for the high loss of life and damage. Many residents did not heed initial warnings to evacuate, putting a severe strain on rescue operations.

On Aug. 29, 2005, it all seemed lost. Four-fifths of the city lay submerged as residents frantically signaled for help from their rooftops and thousands were stranded at the Superdome, a congregation of the desperate and poor. **From the moment the storm surge of Hurricane Katrina dismantled a fatally defective levee**

system, New Orleans became a global symbol of American dysfunction and government negligence. At every level and in every duty, from engineering to social policy to basic logistics, there were revelations of malfunction and failure before, during, and after Katrina.

Ten years later, it is not exactly right to say that New Orleans is back. The city did not return, not as it was“.

<http://www.nytimes.com/interactive/2015/08/26/us/ten-years-after-katrina.html> =article ."

ეს მკაცრი სტატია ქარიშხალ კატრინას 10 წლისთავზე დაიწერა და მასში ახალი ორლენი მოხსენიებულია როგორც სიმბოლო შეერთებული შტატების მთავრობის და სახელწიფოს უუნარობის და ცუდი მუშაობის როგორც ქარიშხალ კატრინას დროს, ასევე მას შემდეგ; რადგან, ამ სტიქიური უბედურებიდან 10 წლის მერეც კი, ქალაქს ჯერ კიდევ არ მოუშუშებია იარები. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელშიც რიგითი მოქალაქეების აღშფოთებაა გამოხატული მთავრობის მიმართ:

"The Water Receded. The Anger's Still Here.

Barbara Krentzman, Natick, Mass.: The failure of the U.S. government to care for its citizens in New Orleans reveals a shocking void where the heart of the greatest country in the world should be. Our government is guilty of criminal incompetence.

Janice Crum, St. George, Utah: You are absolutely correct in stating the obvious: the lack of leadership that permeates every level of government. I will never look at President Bush again without thinking about his not knowing what was going on in New Orleans during that first week in the aftermath of Katrina. It absolutely frightens me that this man is our president. If he didn't know what was going on, where was his staff? What has happened to that office?"

<http://biguenet.blogs.nytimes.com/>

დ) საერთაშორისო სოლიდარობის და ერთობის განცდის შექმნა

ბუნებრივი კატასტროფების შედეგად შექმნილი სიტუაციის დრამატული წარმოჩენით ადამიანებს უვითარდებათ შიშის, საფრთხის და უმწეობის შეგრძნება. ასეთ დროს მათთვის იმედის მომცემია იმის დანახვა, რომ ისინი მარტო არ არიან, რომ მათ გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც მათ დაეხმარებიან და მარტო არ დატოვებენ გასაჭირში.

გაზეთები რეგულარულად აქვეყნებენ ინფორმაციას საერთაშორისო თუ ადგილობრივი შემოწირულობების შესახებ. სტატიები სავსეა სოლიდარობის, შემწეობის და ხალხის თანადგომის ამსახველი მასალებით, რომლებიც ხელს უწყობს ნეგატიური ემოციების შემსუბუქებას და ადამიანებს უქმნის ერთობის და სოლიდარობის განცდას.

ანგარიში: „მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 13 ივნისის სტიქიის ზარალი 100 მლნ ლარზე მეტია“

„მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი 100 მილიონ ლარზე მეტია“, – ამის შესახებ ინფორმაცია თბილისის მერიის მიერ მომზადებულ ანგარიშშია მოცემული. ანგარიშის თანახმად, კერძო კომპანიებმა 21 146 724 ლარი გაიღეს, მოქალაქეებმა – 572 539 ლარი, უცხო ქვეყნის მთავრობებმა – 495 612 ლარი, რის შედეგადაც, ჯამში 22 214 875 ლარი შეგროვდა. სახელმწიფო სტრუქტურებიდან აკუმულირებულმა თანხებმა ჯამში 33 987 641 ლარი შეადგინა“.

<http://liberali.ge/news/view/18704/angarishi-msofliio-bankis-monatsemebit>

შეიძლება ითქვას, რომ ნეგატიური ემოციების შემსუბუქება გაზეთების საერთო ტენდენციაა. ცნობები საერთაშორისო შემოწირულობებსა და დახმარების შესახებ, ხელს უწყობს საფრთხის და ხიფათის შესუსტებას. ისინი ისეთ პოზიტიურ ასპექტებს მოიცავს, როგორცაა იმედი და ერთიანობა.

1. “Disaster’s damage to economies may by minor (*headline, The New York Times, 3 Jan 2005*).”

2. “The disaster has brought unprecedented political unity among the three large parties representing the majority of Sinhalese (*The Guardian, 29 Dec 2004*).”

პოზიტიური შეტყობინებები ტრაგიკული მოვლენების დაბალანსებას უწყობენ ხელს. ინფორმაცია მაშველების მუშაობაზე და საერთაშორისო შემოწირულობებზე ხალხის ინტერესის გამოვლენას უწყობს ხელს. გაზეთები მკითხველებს აიძულებენ, აღიქვან მოვლენები საკუთარ თავთან, ადამიანთან და არა ბუნებასთან მიმართებაში. ბუნებრივი კატასტროფების მიერ შექმნილი სიტუაციიდან გამოსასვლელად დაზარალებული ადამიანები ღებულობენ დახმარებებს, საერთაშორისო შემოწირულობებს. ამ შემოწირულობებში შედის თანხა, ტანსაცმელი და სხვადასხვა საჭირო ნივთი, რაც ბუნებრივი კატასტროფებისგან დაზარალებულ ადამიანებს სჭირდებათ.

პრესაში და ინტერნეტ საიტებზე გამოქვეყნებული საზარელი ისტორიები, თვითმხილველთა მონათხრობები და სიტუაციური რეპორტაჟები მკითხველ აუდიტორიას თანამონაწილეობის და ფენომენოლოგიურად ერთობლივი განცდის ეფექტს უქმნის. გახსნილობის, თანაგრძნობის და თანაგანცდის ასეთი ფსიქოლოგიური გარემოს ფონზე, ბუნებრივი კატაკლიზმების დროს საზოგადოებაში ყოველთვის ხდება გარკვეული ხარისხის კონსოლიდაცია, რადგანაც მძიმე ვითარებებში ადამიანთა ურთიერთთანადგომა ადამიანისავე ბუნებრივი მახასიათებელია.

ბუნებრივი კატასტროფების დროს დაზარალებული ადამიანებისთვის დიდი შვე-ბაა იმის დანახვა, რომ საერთაშორისო საზოგადოება მათ გვერდითაა და ეხმარება მათ როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური წნეხის დაძლევაში. კაცობრიობის მთავარი დანიშნულებაა აგრძნობინოს გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს თანადგომა და გამოუცხადოს მათ სოლიდარობა. ადამიანი საოცრად ემოციური არსებაა, ამიტომაც გრძნობს პასუხისმგებლობას და ვალდებულებას იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც უეცრად აღმოჩნდნენ ისეთი საფრთხის ქვეშ, რომლის წარმოდგენაც თავისუფალ და მშვიდ გარემოში არც კი შეეძლოთ. ერთობა ადამიანებში ძალიან ბევრი უარყოფითი ფაქტორის განეიტრალებას იწვევს, იქნება ეს დაკავშირებული მათ სუბიექტურ თუ პოლიტიკურ ინტერესებთან. ასე მოხდა თბილისშიც. 13 ივნისის ტრაგედიამ ერთად და-

რაზმა სხვადასხვა ასაკის, სქესის, რასისა თუ პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები. გთავაზობთ *კვირის პალიტრაში* გამოქვეყნებულ ერთ-ერთი მოხალისის ჩანაწერს, რომელშიც სწორედ ამგვარი სულისკვეთებაა ემოციურად გადმოცემული:

„ პირველი რაც მოხალისეების დანახვისას თვალში მომხვდა იყო ის, რომ იქ მხოლოდ მომავალი თაობა არ იდგა – იქ იყვნენ დედები შვილებთან ერთად, მოხუცები, ადამიანები განურჩევლად კანის ფერისა და ეროვნებისა.

მომხდარმა ტრაგედიამ ახალი რეალობა გვიჩვენა. ერთ დღეში დავინახეთ, რეალურად ჩვენი საზოგადოების სიმწიფე და მზაობა, რომ შექმნან ქვეყანა, სადაც ერთი ადამიანის გასაჭირი მთელი საზოგადოების გასაჭირად იქცევა. იქ შეკრებილი ხალხი არ კითხულობს ვისთვის რეკს ზარები, არამედ იციან რომ ეს ზარი მათთვის რეკს. ეს არის ხალხი, რომელიც უკეთესს იმსახურებს... და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – დავინახე მათი მზაობა, რომ საკუთარი ერთსულოვნებით შექმნან ახალი უკეთესი გარემო... გარემო, სადაც სოლიდარობა ადამიანების მთავარი განცდა გახდება“.

(<http://www.kvirispalitra.ge/young-people/25540>)

2004 წლის ინდოეთის ოკეანის ცუნამისა და 2005 წლის კატრინას ტრაგედიებთან დაკავშირებული საერთაშორისო სოლიდარობის გამომხატველი სტატიებით არის სავსე ინტერნეტ სივრცე. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს *New York Times*-ის ვებსაიტიდან

"Soidarity with Katrina Victims, Helping the Poor and Vulnerable. Through the miracle of television and Internet, we have gotten to know about the victims of hurricane Katrina and have heard their stories. This has helped to humanize the tragedy and the degree of human suffering that continues to occur with death of loved ones, separation of families, and the destruction of stable lives through the lose of homes, clothing and means of income.

The pain is great; the need and its duration is great. Let us make a concerted effort to remember in prayer and in deed the needs of our brothers and sisters who were in the path of Hurricane Katrina.

Bill May
Chairman, Catholics for the Common Good."

"Janice Crum, St. George, Utah: Katrina was not only a catastrophe for New Orleans. It was a wake-up call for the whole country. My heart goes out to you. Perhaps one day a real leader will emerge from the ashes“.

<http://biguenet.blogs.nytimes.com/>

ამრიგად, ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორიზაციასთან მიმართებაში, საგაზეთო დისკურსის ერთ-ერთი ძირითადი იდეოლოგიური დანიშნულება მდგომარეობს, ერთი მხრივ იმაში, რომ დაანახოს მსოფლიო საზოგადოებას, რა საშინელ სიტუაციაში აღმოჩნდნენ სტიქიის შედეგად დაზარალებული ადამიანები. მეტაფორები ქმნიან საზოგადოებრივ ემოციურ ფონს, რათა კატასტროფის მასობრივი აღქმის ფონზე, ადამიანებს გაუჩნდეთ სურვილი გაჭირვებაში მყოფთ გვერდით ამოუდგნენ და გაიზიარონ მათი ტკივილი. თანადგომა, იქნება ეს მორალური თუ ეკონომიური, უადვილებს ტრამვირებულ ხალხს საკუთარი, ინდივიდუალური სტრესის გადატანას. მეორე მხრივ კი, ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორული ასახვა ერთდროულად ნიღბავს შექმნილ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას და ხელს უწყობს მთავრობისა და პოლიტიკური ოპონენტების ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენას.

დასკვნები

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება განზოგადდეს შემდეგი დასკვნების სახით:

1. ინგლისურენოვანი და ქართული საგაზეთო დისკურსის შეპირისპირებითა ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორიზაცია ორივე

ენაში ხორციელდება, ნაწილობრივ, ანალოგიურ კონცეპტუალურ მოდელებზე დაყრდნობით. კვლევამ აჩვენა, რომ ინდოეთის ოკენის 2004 წლის ცუნამის და 2005 წლის ქარიშხალ კატრინას რეპრეზენტაციის დროს ინგლისური გაზეთები ძირითადად იყენებენ ოთხ მეტაფორულ თემას, რომლის თანახმადაც ხსენებული სტიქიების ნომინაცია და თვისობრივი დახასიათება ხდება მათი გაიგივებით ცხოველთან, ურჩხულთან/მონსტრთან, ომთან და დამსჯელ ძალასთან. სტიქიურ წყალდიდობებთან დაკავშირებული თბილისის კატაკლიზმების რეპრეზენტაცია კი მხოლოდ გაცოფებულ ცხოველთან და ომთან დაკავშირებული ორი კოგნიტური მოდელით ხორციელდება.

2. ბუნებრივი კატასტროფების მეტაფორული გაიგივება სულიერ არსებებთან როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში რეალიზებულია ლექსიკური საშუალებებით, რომელთა სემანტიკაც სტიქიურ კატაკლიზმებს წარმოგვიდგენს როგორც ცოცხალ ქმედით არსებას. ეს ხდება, ძირითადად, არსებითი სახელების, ზმნებისა და ზედსართავი სახელების მეტაფორული გამოყენებით, რომლებიც ბუნებრივ კატაკლიზმებს მიაწერენ იმ ნიშან-თვისებებს, ქმედებებს და ხმებს, რომლებიც გაცოფებულ-გამძვივარებული ცხოველების მახასიათებლებს წარმოადგენენ.

3. ჰიპერბოლური და ემოციური შეფერილობის ლექსემების გამოყენებით, ინგლისურენოვან საგაზეთო დისკურსში ბუნებრივი კატასტროფები დახასიათებულია უზარმაზარ, მრისხანე და საშინელ მონსტრად, ხოლო ომის თემა გამოხატულია ექსპლიციტური შედარებებით, რომლებიც ცუნამსა და ქარიშხალს ახასიათებენ როგორც ხალხის შემაშინებელ, დამსჯელ და თავდამსხმელ ძალას.

4. ქართულ საგაზეთო დისკურსში წყალთან დაკავშირებული ბუნებრივი სტიქიის ამსახველი კონსტრუქციები ამ მოვლენას გაცოფებულ მხეცად წარმოაჩენს, რაც გამოხატულებას ჰპოვებს რთული სემანტიკის მქონე შედგენილ სახელში „ღვარცოფი“, რომელსაც არ მოეპოვება ანალოგი ინგლისურ ენაში.

5. მეტაფორა ბუნებრივი მოვლენების კატეგორიზაციას ისეთი ჩარჩოების გამოყენებით ახდენს, რომელიც ადამიანისთვის უცხო არ არის. ის ეხმარება ადამიანებს ბუნებრივი კატასტროფების უკეთ აღქმაში. თუმცა ამავე დროს, მეტაფორიზაცია ნიღბავს კატაკლიზმების გამომწვევ მიზეზებს და ართულებს კონსტრუქციულ ქმე-

დებას ადამიანების მხრიდან. უფრო მეტიც, მეტაფორა ისწრაფვის ადამიანური ემოციებისკენ და თავს არიდებს პრობლემური სიტუაციის რაციონალურ გადაწყვეტას, აიძულებს ხალხს მოცემულობად ჩათვალონ ის სურათი, რომელიც მათ შექმნეს ბუნებრივი კატასტროფების შესახებ.

6. ბუნებრივი მოვლენის მეტაფორული დემონიზაცია ახდენს მსოფლიოს ბიპოლარიზებას უდანაშაულო ადამიანებად და მრისხანე ბუნებად, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კონსოლიდირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. აერთიანებს ხალხს სოლიდარობის და გრძნობების მეშვეობით. დემონიზებული მეტაფორული თემები ამართლებენ ადამიანის წარუმატებლობას, ნიღბავენ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. მეტაფორული თემები მუშაობს, როგორც ეფექტური იდეოლოგიური იარაღი.

7. კვლევამ გვიჩვენა, რომ მეტაფორა ექსპრესიულ-ინფორმაციულობის პარალელურად, ერთდროულად ასრულებს რამდენიმე სოციალურ-პრაგმატიკულ ფუნქციას, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. სწორედ ამგვარი პოლი-ფუნქციონალიზმი ხდის მეტაფორას უნიკალურ და ეფექტურ საგაზეთო იდეოლოგიურ საშუალებად. ეს ფუნქციებია:

- ა) ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დამალვა-შენიღბვა;
- ბ) მოვლენების დრამატიზება მკითხველთა ემოციებზე ზემოქმედების მიზნით;
- გ) მთავრობის და პოლიტიკური ოპონენტების ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენა;
- დ) საერთაშორისო სოლიდარობის და ეროვნული ერთიანობის განცდის შექმნა მოსახლეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კირვალიძე ნ., გრამატიკის თანამედროვე თეორიები. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008.
2. კირვალიძე ნ., კობახიძე შ., მეტაფორული აზროვნება და ხატოვანი შედარებები. თბ.: ილია ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006.

3. **ნათაძე მ., ნათაძე გ.** რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების სვლა? წიგნში: დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), თბ: 1988.
4. **ნიჟარაძე ნ.,** საკომუნიკაციო კომპეტენცია და სინტაქსური სინონიმია, როგორც ფსიქოლინგვისტური პრობლემა. ფილოლ. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. ქუთაისი, 2009.
5. **ცანავა რ.,** მეტაფორა. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, სერია: ლიტერატურისმცოდნეობა, თბილისი, 2009.
6. **Aarts B.** English Syntax and Argumentation. Modern Linguistics Series. Lnd: MacMillan Press, 2001.
7. **Altheide, David L. and R. Sam Michalowski** 'Fear in the News: A Discourse of Control'. The Sociological Quarterly 1990, 40(3), 475-503.
<http://www.public.asu.edu/~atdla/fearinthenews.pdf>
8. **Bell, A.** The Language of News Media. Oxford; Cambridge: Blackwell, 1991.
http://www2.media.uoa.gr/lectures/linguistic_archives/notes/Bell_Media_and_Language.pdf
9. **Conboy M.** The Language of the News. London; New York: Routledge, 2007.
10. **Croft W., & Cruse A.,** Cognitive linguistics. Cambridge University Press, 2004.
11. **van Dijk T.,** News, Discourse and Ideology. // Wahl-Jorgensen K. and Hanitzsch Th. (Eds), The Handbook of Journalism Studies. New York-London: Routledge, 2009.
<http://sites.psu.edu/com409vicaro/wp-content/uploads/sites/9235/2014/01/News-Discourse-Ideology.pdf>
12. **Hawkins, B.** "Ideology, Metaphor and Iconographic Reference" in language and Ideology, volume II: descriptive cognitive approaches. Ed. By Rene Dirven, Roslyn Frank and Cornelia Ilie. Amsterdam - Philadelphia: 2001, 27-50.
13. **Hoffman R.,** Some implications of mataphor for philosophy and psychology of science. In: The Ubiquity of metaphor. Amsterdam 1995, p. 319-350.
14. **Lakoff G. & M. Johnson,** Metaphors We Live By. Chicago: University of Chicago Press, 1980.

15. **Levitt, Jeremy I. and Matthew C. Whitaker.** 'Truth Crushed to Earth Will Rise again'. In: Levitt, Jeremy I. and Matthew C. Whitaker (eds.) Hurricane Katrina: America's Unnatural Disaster. Lincoln: University of Nebraska Press, 2009, 1-21.
16. **Niman, Michael I.** The Political Tsunami: Not All Death and Destruction Is Natural, 2010. <https://works.bepress.com/niman/2/>
17. **Radford, B.** Media Mythmakers: How journalists, activists, and Advertisers Mislead Us. Amherst: Prometheus Books, 2003.
18. **Richardson, J. E.** Analysing Newspapers: An Approach from Critical Discourse Analysis. New York: Palgrave MacMillan, 2007.
19. **Trčkova D.,** Multi-Functionality of Metaphores in English Newspaper Discourse. // Brno Studies in English, Volume 37, No. 1, 2011, pp. 139 - 151.
20. **Арутюнова Н. Д.,** Метафора и дискурс. - В кн : Теория Метафоры. Москва: «Прогресс», 1990 5-32.
21. **Лингвистический энциклопедический словарь.** М.: «Советская энциклопедия», 1990.
22. **Ортони Э.,** Роль сходства в уподоблении и метафоре. – В кн: “Теория Метафоры”. М., 1990, с. 219 - 235.
23. **Теория Метафоры.** Москва: «Прогресс», 1990.

ელექტრონული რესურსები:

1. <http://www.nytimes.com/>
2. www.theglobeandmail.com/
3. <http://www.theguardian.com/us-news/2015/oct/24/texas-flooding-hurricane-patricia-pummels-state>

4. https://www.thestar.com/news/world/2014/10/18/hurricane_gonzalo_pummels_bermuda_moves_toward_newfoundland.html
5. <http://www.mysanantonio.com/news/weather/article/West-Coast-hurricane-pummels-Texas-with-rain-5767088.php>
6. <http://www.livescience.com/22522-hurricane-katrina-facts.html>
7. <https://www.rustavi2/kurieri/14.06.2015>
8. <https://www.rustavi2/kurieri/archive/jine.2015>
9. http://news.vitube.ge/1960_wlis_wyaldidoba_Tbilisi_zooparkshi_chanawerebi_edisher_yifanisubis_wignakidan
10. <http://www.amerikiskhma.com/a/tbilisi-floods/2822150.htm>
11. <http://presa.ge/new/?m=society&AID=35387>
12. <http://www.kvirispalitra.ge/mnishvnelovani-informacia/12346-tsyaldidoba-thbilisshida-regionebshi.html>
13. [https://ka.wikipedia.org/wiki/თბილისის_წყალდიდობა_\(2015\)](https://ka.wikipedia.org/wiki/თბილისის_წყალდიდობა_(2015))
14. <http://liberali.ge/news/view/18704/angarishi-msofllo-bankis-monatsemebit-13-ivnisis-stiqiis-zarali-100-mln-larze-metia>
15. <http://www.kvirispalitra.ge/young-people/25540-ckhovreba-13-ivnisamde-da-13-ivnisis-shemdeg-mokhalisis-chanatserebi.html>